# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 1 ივნისი, 2011 წელი.

№100 (6711)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## აჯანყება „უცხოური სცენარით“ და ეროვნული დროშის ფარით...




ნაცემი, მაგრამ არა დამარცხებული

3

## ხმა წინაპართა



ევროპული წესის თვისება ის არის, რომ ყოველი თაობა განძად სთვლის წინაპართაგან გადმოცემულ სიმართლეს და საუნჯეს და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს... ხოლო ჩვენში ყველას დედააზრი ის არის, რომ „მე ვარ და სხვა არავინაო“, ყოველი ახალი თაობა, ყოვლად უაზრო, უზრდელი, უტრადიციო, უეცრად სპობს და ლეწავს წინანდელი თაობის ნაშრომსა...

იქ, სადაც ყველაფერი მარტო ერთ კაცზე ტრიალებს და არა საზოგადოებაზე, ის კაციც ნელ-ნელა იმ შეხედულებას იღებს, რომ „მე ვარ, სხვა არავინაო“. ყველა მე უნდა მემსახუროსო...

უცხოელების შემოსევების გარდა, ჩვენი ხალხი თავისმა შინაგანმა დარდიმანდულმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დაასუსტა, დააუძლურა – ერთმანეთის მტრობამ და შურმა, წინდაუხედაობამ, უაზრო მეოცნებეობამ და სიმჩატემ, ზედაპირულობამ...

ნიკო ნიკოლაძე,
1911 წ.

## უქონელი მთავრობა და ცხოვრება-გაიოლებული ბრბო



ერთი „ხედის“ ორნაირი ხედვა, ანუ რა პრინციპით გამოარჩევენ სიუჟეტიდან მთავარს „რუსთავი-2“ და „მაესტრო“?

4

## სპეცრაზმელების მიერ თავგაჩეჩქვილ სულიკო ასათიანს მიხეილ სააკაშვილმა პირადად გადასცა ომში

5

## დაღუპული შვილის ორდენი



## დარბევის ღამეს კინოთეატრ „რუსთაველში“ სპეცრაზმელებმა ქალები გააუპატიურეს?

3

## ირაკლი სესიაშვილი: ხელისუფლების შიში არსებობს, მაგრამ კონსოლიდაციის მუხტი უფრო მაღალია

5

## საქართველოში აჯანყების მცდელობა, როგორც ჩანს, სააკაშვილს მხოლოდ დაეხმარება

8

ექო

# ედუარდ შევარდნაძე 26 მაისის აქციის დაშლას ხელისუფლების მხრიდან უხეშ შეცდომას უწოდებს



**ამის შესახებ ყოფილმა პრეზიდენტმა რუსულ გამოცემა „იზვესტიასთან“ ინტერვიუში განაცხადა.**

„ადამიანების წყლის ჭავლით დაშლას დიდი ჭკუა არ სჭირდება. სააკაშვილი მათთან უნდა გასულიყო, გასაუბრებოდა, გარკვეულიყო სიტუაციაში, დაეწყნარებინა, მიუხედავად იმისა, რომც არაფერი გამოსვლოდა. მაგრამ სააკაშვილი არ აპირებს ოპოზიციასთან მოლაპარაკებას. ეს პირველი შემთხვევა არ არის! იყო ისეთი მოვლენები, როდესაც ის ხალხთან უნდა გასულიყო, მაგრამ არ გავიდა“ – განაცხადა შევარდნაძემ.

მისივე აზრით, ბოლო მოვლენებმა ქვეყანაში არსებული ვითარება კიდევ უფრო გაამძაფრა.

ზოგადად ოპოზიციაზე საუბრისას, შევარდნაძე ამბობს, რომ ოპოზიცია ისეთივეა, როგორც სხვა ქვეყანაში. „არის ბევრი ჭკვიანი ადამიანი, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც პოლიტიკაში სრულიად შემთხვევით მოხვდნენ“, – განაცხადა შევარდნაძემ.

ინტერპრესი



ინფორმაცია

## ეძებენ უგზოუკვლოდ დაკარგულ 68 მომიტინგეს

**მოძრაობამ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში ვანო მერაბიშვილის სახელზე განცხადება შეიტანა.**

მოძრაობის ხელმძღვანელი ეკა ბესელია მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა დაუყოვნებლივ დაიწყონ იმ 68 ადამიანის ადგილსამყოფელის დადგენა, რომელთა მონაცემებიც 26 მაისის მოვლენების შემდეგ უცნობია.

– გთხოვთ, გვაცნობოთ არიან თუ არა ზემოაღნიშნული პირები დაკავებულნი და გამოგვიგზავნოთ მათი მონაცემები, ასევე გვაცნობოთ მათი დაკავების ადგილი, ხოლო იმ პირებზე რომლებიც არ არიან დაკავებულები გამოცხადდეს ძებნა, რათა დროულად დადგინდეს მათი ადგილსამყოფელი, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც თან 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ გაუჩინარებულ პირთა 68-პირიანი სიაც ახლავს.

## მოსკოვში ქართველი ჟურნალისტები დააკავეს

**გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულები აფხაზეთის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის გამოსათხოვარ ცერემონიალს აშუქებდნენ.**

მათი დაკავების მიზეზად რუსეთის ტერიტორიაზე არალიცენზირებული საქმიანობა სახელდება.

– დოკუმენტების შემოწმებისას დაკავებული იქნენ საქართველოს ტელეარხ „პიკის“ ოპერატორი ვოლგოგრადის მხარეში მცხოვრები ალექსეი მატვეევი, ასევე აზერბაიჯანის მოქალაქე ნათია ფოლადაშვილი. ისინი ილებდნენ რეპორტაჟს და იწერდნენ ინტერვიუებს ადამიანებთან, რომლებიც ბაღაფშის სამოქალაქო პანაშვიდს ესწრებოდნენ. მათ არ ჰქონდათ ჟურნალისტების აკრედიტაცია, რომელიც რუსეთში საინფორმაციო საქმიანობის უფლებას იძლევა, – იტყობინება „ინტერფაქსი“.

ჯი-ეიჩ-ენი

პრობლემა

**საქართველოს მთავრობა და მით უფრო, პრეზიდენტი პარლამენტის ქუთაისში გადატანის აუცილებლობას იმით ხსნის, რომ ამ ჟესტით ხელისუფლების დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს. თუმცა თუკი ახლანდელ ვითარებას გადავხედავთ, ცენტრალური ხელისუფლება ისეა ჩაფრენილი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტს, რომ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში გაზარმაცებული გამგებლები და გუბერნატორები შოშიებივით პირდაფჩენილები შეჰყურებენ ცენტრს და ტრანზიტებით არსებობენ. წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება კი სულ უფრო გვარწმუნებს, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტმა დამოუკიდებელობის ხარისხი აღიდგინონ, უფრო პასუხისმგებლიანები გახდნენ და რეალურად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დამოუკიდებელი გუბერნატორი და გამგებელი სრულებითაც არ გულისხმობს იმას, რისიც ამ ხნის განმავლობაში ეშინოდა ცენტრს – ეს არამც და არამც არ ნიშნავს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც გააღვივებს სეპარატიზმს...**

## ზარმაცი მუნიციპალიტეტები ცენტრალურ ბიუჯეტს შოშიებივით მისჩერებიან

### ხელისუფლება კი დეცენტრალიზაციას რეალურად არ აპირებს

გუშინ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა წარმოადგინა პროექტის „ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერება – გზა დეცენტრალიზაციისაკენ“ შედეგები, რომელიც მან ევროკავშირის დაფინანსებით განახორციელა.

სტრატეგიის ცენტრმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ტრენინგები ჩაატარა, რომლებშიც 69 თვითმმართველი ერთეულის 427 საჯარო მოხელე მონაწილეობდა. ამის გარდა სტრატეგიის ცენტრის ექსპერტებმა კვლევა ჩაატარეს საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის საკითხებზე.

უნდა ითქვას, რომ ჩვენმა პარლამენტმა ჯერ კიდევ 2004 წელს მოახდინა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირება, 2010 წელს ძალაში შევიდა ახალი „საბიუჯეტო კოდექსი“, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ყველაფრის მიუხედავად, ფინანსურად და ეკონომიკურად გაძლიერდა თვითმმართველი ერთეულები, საფინანსო-საბიუჯეტო ავტონომიის ხარისხი კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, რომელსაც რეგიონიდან ჩამოსული მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები ესწრებოდნენ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწიდან საძოვრები იყო ერთადერთი, რომელიც თვითმმართველ ერთეულს ეკუთვნოდა, მაგრამ ერთი თვის წინათ ორგანული კანონი შეიცვალა და ეს საძოვრებიც ჩამოართვეს. გამოდის, რომ მათ არანაირი კატეგორია საკუთრებაში არ დაუტოვეს. რაც შეეხება ტყეების საკუთრებაში ფლობას, თავად თვითმმართველობები არ არიან დაინტერესებულნი, რადგან ამ შემთხვევაში კანონი ბუნდოვანია. მაგალითად, არის ტყეები, რომელსაც ფლობს რამდენიმე მუნიციპალიტეტი, მაგრამ განკარგვის უფლება არა აქვთ, ვერ იყენებენ, უბრალოდ დარაჯს ინახავენ. ასევე ბუნდოვანია ადგილობრივი მნიშვნელობის წყლების თემა. რაც შეეხება საწარმოებს, შენობა-ნაგებობებს და იქიდან მიღებულ შემოსავლებს, მათ ცენტრალური ხელისუფლება მუნიციპალიტეტებს არ უთმობს. სამაგიეროდ, მუნიციპალიტეტები ფლობენ უამრავ ქონებას, რომელიც არის ამორტიზებული, გამოუსადეგარი, ან შენობა-ნაგებობა აღდგენას არ ექვემდებარება და ა. შ. ასეთ ქონებას ვერც ხელს ახლებენ, ვერც ასხვისებენ და ვერც განაგებენ, რაც დიდი პრობლემაა.

ყველაზე საინტერესო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესია. როგორც ცენტრის ექსპერტები შოთა მურღულია და გიგა გველესიანი ამბობენ, წლის დასაწყისში დაგეგმილი ბიუჯეტი წლის ბოლოს შემოსული თანხებისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა. საჯარო ფინანსების უდიდესი ნაწილი კვლავ სახელმწიფო ბიუჯეტშია თავმოყრილი. გადასახადების ხვედრითი წილიდან მხოლოდ ქონების გადასახადი რჩება ადგილობრივ ბიუჯეტში, რაც ძალიან მწირია. ხოლო ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გუბერნატორის გავლენას – ის მართავს კონსულტაციებს არა ფარულად, არამედ საკანონმდებლო დონეზე და არავინ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის პრობლემებს...

**ეს ის თემებია, რომელიც საკმაო დისკუსიასა და მსჯელობას მოითხოვს, ამიტომ სტრატეგიის ცენტრი აგრძელებს ამაზე მუშაობას. ექსპერტები ამბობენ, რომ უნდა გაიზარდოს დეცენტრალიზაციის ხარისხი, რადგან ტრანსფერებით თანხების განაწილება ხშირად სუბიექტურ გადაწყვეტილებებს ეყრდნობა, რაც ხელს უშლის რესურსების ეფექტიან განაწილებას, ხოლო თვითმმართველი ერთეულები მობილიზებულები არ არიან შემოსავლების გაზრდაზე, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულების ხარისხის გაზრდის რისკს შეიცავს.**

თეა მოსია



პატივმიგება

## ქართული დროშა კვლავ „უოლ სთრითზეა“

**უკვე მესამე წელია რაც მაისის ბოლოს მხოლოდ ამერიკის კი არა, მსოფლიოს ფინანსურ ცენტრში „უოლ სთრითზე“ აშშ-ის დროშის გვერდით რამდენიმე დღით ქართული დროშა იფრიალებს. წელს 26 მაისს სამშობლოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, ორგანიზატორები (აშშ-ში საქართველოს საპატიო საკონსულო) ორჭოფობდნენ გაემართათ თუ არა ნიუ-იორკის მერიის მიერ ქართული დროშის ქალაქის მერიის მიერ სანქცირებული აღმართვის ცერემონიალი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა.**

ბოლოს გადაწყდა, რომ გაემართათ... სწორედ დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს რუსთაველზე მიტინგის დარბევის დროს დაღუპულთა ხსოვნას. „უოლ სთრითის“ ქართული ღონისძიების უცხოელმა სტუმრებმა ისაუბრეს იმის შესახებ თუ როგორ უყვართ საქართველო და გული შესტკივათ იქ მიმდინარე პროცესებზე.



**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ.**

რა ღირს ქვეყნის იმიჯი?

## პოლიტიკურად ეს ადამიანები არ არსებობენ

**31 მაისს, პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა ინტერნეტ ტელევიზია ITV-ის მედიაკლუბში მიმდინარე შინაპოლიტიკურ პროცესებს, კერძოდ რამდენიმე დღის წინათ რუსთაველზე დარბეულ აქციას, კანონიერ-სამართლებრივი უწოდა.**

**მისი თქმით, პროცესები იმართებოდა რუსეთის მიერ და მიზანი ქვეყნის სტაბილურობის მოშლა იყო. „ჩვენ შევთავაზეთ სხვადასხვა ადგილი, სადაც შეძლებდნენ აქციის გამართვას, მაგრამ გადაწყვიტეს, „ჩვენ ჩავშლითო აღლუმს“. მომხდარს აქციის დაშლად ვაფასებ. ძალის გადამეტებაზე საუბარი კი ჩემს კომპეტენციაში არ შედის“...**

**ნუგზარ წიკლაური „ძალის გადამეტება-გადაცდომაში“ უჩვეულოს ვერაფერს ხედავს, რადგან მსგასი რამ „უცხოეთისთვის კარგად ნაცნობია“. მან სახალხო დამცველს მიმართა შესაბამისი რეაგირებისთვის.**

**„დემოკრატიულ ქვეყანას განვითარების გზაზე პრობლემები ექმნება. პოლიცია კი გამონაკლისი ვერ იქნება, მათი ამოსავალი წერტილი ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნება-პროვოცირების, ანარქიის, საძმოს სისტემის აღდგენის აცილებაა“, – დასძინა ნუგზარ წიკლაურმა.**

**მან აქციის ორგანიზატორებს მოქმედების შედეგს – პოლიტიკური კატასტროფა, ქართული საზოგადოების წინაშე დამარცხება უწოდა: „პოლიტიკურად ეს ადამიანები არ არსებობენ. სამართლებრივად, როგორც პარლამენტის წევრი, ვიზრუნებ ამაზე. სერიოზული ეჭვები მაქვს, რომ „ეროვნული საბჭო“ რუსეთის მიერაა მართული. ჩვენ დავფიქრდებით, თუ რა თემაზე შეიძლება ვისაუბროთ მათთან“...**

**პარლამენტარი წიკლაური შეეხო ასევე ირაკლი ოქრუაშვილის ბოლოდროინდელ განცხადებას, რასაც მორალის კრიზისი და ქვეყნისთვის იმიჯის შემლახველი უწოდა.**

გულნაზ გახარია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ნაცემნი, მაგრამ არა დაშინებულნი

# აჯანყება უცხოური სცენარით და ეროვნული დროშის ტარით...

**გახსოვთ, ალბათ, 1953 წლის 26 ივნისს სსრ კავშირში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა: „ამხანაგების“ ხროვამ დაამხო ხელისუფლების ნომენკლატურული იერარქიის მეორე კაცი ლავრენტი ბერია. თანაც მსხვერპლს დააბრალეს ის, რაც თვითონ ჩაიდინეს — იმ დროისთვის ყველაზე დასჯადი დანაშაული — შეთქმულება. თურმე ლავრენტი პავლოვიჩი სახელმწიფო გადატრიალებას და სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის დაპატიმრებას გეგმავდა 27 ივნისს დიდ თეატრში, ოპერა „დეკაბრისტების“ პრემიერის დროს.**

„შეთქმულებებს“ შეჩვეულ ქვეყანაში ეს ბრალდება არავის გაკვირვებია, გარდა რამდენიმე კაცისა, რომელსაც კიდევ შერჩენოდა გაკვირვების უნარი, ჩუმად, მხოლოდ თავისთვის: როგორ მოხდა, რომ ქვეყნის დაქცევაჩაფიქრებულმა ბერიამ მთელი 10 დღე თვითდინებაზე მიაგდო შეთქმულების საქმე და — 17-ში ბერლინს გაემგზავრა იქ აგორებული მასობრივი ამბოხების ჩასახშობად. აჯანყების ოპერატიულად და სასტიკად ჩახშობის შემდეგ ის 26 ივნისს მოსკოვში დაბრუნდა, სადაც უმალ ყელში სწვდნენ.

შეიძლება არც თუ მაინცდამაინც მართებული შედარება იყოს, მაგრამ ლავრენტი პავლოვიჩის „შეთქმულების“ ბრალდებით მოშთობა ძალიან მაგონებს ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლების დაჟინებულ მცდელობას ბურჯანაძისთვის უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურების დახმარებით ხელისუფლების დამხობის განზრახვის მიწებებას.

წყლის წვეთი ქვას ხვრეტს და სახელმწიფო დამნაშავის იარლიყი თანდათან უფრო „მდგრადი“ და საზოგადოებისთვის „მისაღები“ ხდება. უდანაშაულობის პრეზუმფცია, ანუ სანამ პიროვნების ბრალეულობას სასამართლო არ დაადგენს, ის უდანაშაულოდ ითვლება, სულ უფრო და უფრო მყარად ექლევა დავიწყებას.

მაინც რითი ამტკიცებენ, რომ სწორედ შეთქმულებასთან, არსებული ხელისუფლების იარაღის ძალით, უცხო, მტრული ქვეყნის დახმარებით დამხობის ცდასთან გვქონდა საქმე? რა მტკიცებულებებით გვაჯერებენ, რომ ეს სწორედ ასეა?

დროშის ტარებით, რომლებსაც თურმე შეტევის იარაღად იყენებდნენ? საბავშვო შურდულებით — „რაგატკებით“, რომლითაც თურმე ლითონის ბურთულის სროლა შეიძლება?

კედელთან მიწყობილი რაღაც სითხით სავსე ბოთლებით, რომლებზეც გვეუბნებიან, გინდა თუ არა, „მოლოტოვის კოქტეილიაო“ და რომლებსაც (უქვირფასეს ნივთმტკიცებებსძ როგორც ტელეეკრანით ჩანდა საგულდაგულოდ ამსხვრევდა სამართალდამცველი, ისე რომ აალებული, ნასროლი არავის უნახავს?

რამდენიმე აუდიოჩანაწერით? რატომ არ გამოაქვეყნეს ისინი 26 მაისამდე, რათა აქციის მონაწილეებში ეჭვი გამოეწვიათ, ესენი მართლა რაღაც უბედურებაში გვხვევენო? არა, შეთქმულთა „ფაქტზე გამოჭერა“ უნდოდათ. ეს იყო მათი სურვილი და არა ამ „ფაქტის“ დროულად და უსისხლოდ აღკვეთა. ეს მაგონებს ერთ ძველ საბჭოურ აპრობირებულ და დიდად მიღებულ ქურდების გამომჟღავნების მეთოდს: მილიცია ავტობუსში აუშვებდა თანამშრომელ ქალს, რომელსაც ჩანთა გახსნილი ჰქონდა, სადაც ფული ჩანდა. ავტობუსში მყოფთაგან თუ ვინმე ცდუნებას ვერ გაუძლებდა და ჩანთაში ჩაძვრებოდა, უმალ-ცაპ!




ეს აკრძალული მეთოდი იყო მაშინაც კი, როგორც მაპროვოცირებელი. საიდუმლო აუდიოჩანაწერი, „მოლოტოვის კოქტეილი“ მანამდე არავის უხსენებია, სანამ აქცია არ დაარბიეს, და ნამოქმედარის „სამხილებით“ განმტკიცება არ გახდა საჭირო.

ე. ი. ხელისუფლების მიზანი იმთავითვე „ბოროტგანზრახულების“ თავიდან აცილება კი არა, „შეთქმულთა“ ფაქტით გამოჭერა ყოფილა!

თანაც რატომღაც დაპატიმრებულია ათეულობით „მეამბოხე“ და არა ლიდერები, რომლებმაც „ჩაიფიქრეს“, „მოამზადეს“ და „ლამის განახორციელეს“ სახელმწიფო გადატრიალება, რომლებიც ალბათ უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული საზღვართან მომდგარ რუსეთის „გრუ“-სთან და სპეცდანიშნულების რაზმებთან...

საოცარია, ნინო ბურჯანაძე, რომელიც თურმე დიდი ხანია ამზადებს საქართველოს რუსეთისთვის მიყიდვას, პირდაპირ იხვეწება, თუ დამნაშავე ვარ, დამაპატიმრეთო, მაგრამ რატომღაც ხელს არ ჰკიდებენ...

კიდევ ერთ მთავარ ბრალდებაზე: ამ შეთქმულებისა თუ შეიარაღებული აჯანყების სცენარი უცხო ქვეყანაშია დაწერილიო...

მომკალით და ვერ დამაჯერებთ (ყოველ შემთხვევაში იმ მწირი და სასაცილო „მტკიცებულებებით“, რაც ჯერჯერობით ხელთ აქვს ხელისუფლებას!ძ, რომ ეს მართლაც ასეა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არა მარტო მე, არამედ მთელი ქვეყანა დარწმუნდა, რომ აქციის ორგანიზატორებს უცხოელი სპეციალისტების მიერ შედგენილ-დაწერილი სცენარი კი არა, საკუთარი ხელით სახელდახელოდ წაჩხაპნილი ელემენტარული გეგმაც კი არ ჰქონდათ: „ბურჯანაძისტები“ თუმცა ბევრს იჭაჭებოდნენ, ყოველი წუთი, ყოველი მოქმედება და გადაადგილება გათვლილი და აწონილ-დაწონილი გვაქვსო, მაგრამ მოვლენათა მიმდინარეობამ გვიჩვენა, რომ ეს ასე სულაც არ იყო. ამიტომ იჩინა თავი აქციაზე დამსწრეთა სიხალვათემ, ამიტომ იყო მიკროფონი თითქმის მუდმივად „გაცივებული“, უბრალოდ, გამომსვლელებიც კი არ იყვნენ შერჩეულები, „თემატიკაც“ კი არ იყო დანაწილებული, ანუ ვის რაზე უნდა ელაპარაკა. ყველაფერი თვით გამომსვლელზე, რომლებიც გაუმართლებლად ძალზე ხშირად ცვლიდნენ ერთმანეთს, იყო მინდობილი. დიდებული მსახიობები არიან გოგი ქავთარაძე, გია ბურჯანაძე და დიმა ჯაიანი, მაგრამ მათი ემოციური და მგზნებარე გამოსვლები მეორედ, მესამედ და მეოთხედ მიზანს ველარ აღწევდა. რა უნდა შეემატებინა აქციისთვის რეჟისორისა და მსახიობის რეზო ესაძის სახელდახელო დეკლამაციებს? თანაც ბევრს მშვენივრად ახსოვდა ზუსტად ასევე რომ მოთქვამდა და იხოკავდა იგი სახეს „რუსთავი-2“-ის დასაცავ აქციაზე 2003 წელს, თუმცა ის ტელეარხი არც მაშინ იყო მაინცდამაინც დიდი მამა აბრამის ბატკანი და არც ის აქცია გახლდათ მთლად სამართლიანი საქმისთვის მოწყობილი.

ზემოთქმული გავიმეოროთ: „უცხოეთში დაწერილი სცენარი“, ისევე მემკვიდრეობით გვაქვს მიღებული საბჭოთა უშიშროების ორგანოებიდან, როგორც უამრავი სხვა რამ. თანდათან ვრწმუნდებით, რომ ჩეკას კაბინეტებში შექმნილი მრავალი გამოგონება კვლავ ცხოველმყოფელია.

ნუთუ იმ „სცენარის“ მიხედვით მოხდა მეტამორფოზა აქციის მონაწილეთა მოთხოვნებისა: სულ თავიდან თუ იდგა (მხოლოდ ლოზუნგადძ ხელისუფლების დემონტაჟის მოთხოვნა, როგორც იდეალი, შეკრების პირველივე დღის ანალიზმა (შეკრებილთა სიმცირემძ, როგორც ჩანს, ორგანიზატორები მიიყვანა ამ მოთხოვნის უპერსპექტივობამდე და იგი შეიცვალა უფრო ნაკლებრევოლუციურით — არ ჩავატარებინოთ ხელისუფლებას სამხედრო აღლუმი, შემდეგ ეს შედარებით „ლიბერალური“ მოთხოვნაც „ჩამოლაზორანტდა“ — არ მივცეთ სააკაშვილს აღლუმის მიღების საშუალება...

როგორც ვთქვით, მიტინგის მიმდინარეობის კვალობაზე იცვლებოდა მისი მოწოდებები. ოღონდ, ახლა ამას აღარავინ იგონებს. ჯერჯერობით მყარად რჩება „სახელმწიფო გადატრიალების, ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის მცდელობა უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ დაწერილი სცენარით“.

26 მაისს ბათუმში იუსტიციის შენობის გახსნისას, პრეზიდენტმა, მტრის ჯინაზე გილოცავთ დამოუკიდებლობის დღესო, და ამით მოკლედ მოჭრა, ყველა, ვინც იმ დარბეულ აქციაზე იმყოფებოდა, მტერი იყოო.

ვითომ მართლა მტერი იყო?

უბრალოდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება თავიდანვე გეგმავდა, სპეციალურად ამზადებდა, რათა ყველაფერი ისე დასრულებულიყო, როგორც დასრულდა, რათა ხალხი კარგა ხანს ვერ გამოსულიყო შოკიდან, ველარ გაებედა წინააღმდეგობა. ამიტომ მოიმარჯვეს წრეს გადასული სისასტიკე, სწორედაც დარბევა აქციისა და არა დაშლა, ხალხის შინ გასტუმრება. გასაქცევი ბილიკიც კი არ დაუტოვეს თავგზააბნეულ ხალხს და უმოწყალოდ გვემეს.

ერთი რამ უდავოა, აქციის ასეთი სისასტიკით დარბევამ სრულიადაც არ გამოიღო ის შედეგი, რასაც ხელისუფლება ელოდა. მან ვერ გატეხა რადიკალური ოპოზიციის საბრძოლო სულისკვეთება და დაშავებულთა მიმართ სოლიდარობის გრძნობა წარმოიშვა. თუმცა თითქმის მთელი სპექტრი ოპოზიციისა ერთხმად აღნიშნავს, რომ სახალხო კრებამ შეცდომა დაუშვა, როცა ხალხს უწინამძღვრა მოცემულ ეტაპზე ისეთი უპერსპექტივო ამოცანის შესასრულებლად, როგორიც სამხედრო აღლუმის ჩატარებისთვის ხელის შეშლაა. საბოლოოდ ყველაფერ ამას ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

ნათელი დაადგეთ!

**სანდრო ალექსიძე**

SIC!

## დარბევის ღამეს კინოთეატრ „რუსთაველში“ სპეცრაზმელებმა ქალები გააუპატიურეს

**არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ უფლებათა დამცველმა მანანა კობახიძემ პრესაგე.ტვ-ს დელიკატური და შოკისმომგვრელი ინფორმაცია მიაწოდა. ეს არის ფაქტი, რა დროსაც კომენტარი ზედმეტია და მას პრესაგე.ტვ ყოველგვარი შეფასების გარეშე გთავაზობთ.**

**მანანა კობახიძე:** — დღეს არასამთავრობო ორგანიზაციები შევიკრიბეთ, რათა დაგვესახა გეგმა როგორ დავეხმაროთ იმ ადამიანებს, რომლებიც 26 მაისს განვითარებული მოვლენების დროს დაშავდნენ. ჩვენი სურვილია, მათ დროულად დავეხმაროთ იურიდიული საკითხების გადაწყვეტაში, გავარკვიოთ როგორ უნდა იმოქმედონ და ასე შემდეგ. ამ შეხვედრაზე ერთ-ერთმა უფლებათა დამცველმა, რომელსაც ვერ დაგისახელებთ, მოგვაწოდა ძალიან შემაშფოთებელი ინფორმაცია.

აქციის დაშლის პროცესში კინოთეატრ „რუსთაველში“, სადაც დაახლოებით სამასამდე ადამიანმა შეაფარა თავი, დაფიქსირდა ამორალური საქციელი. იქ შესულმა სპეცრაზმმა დააფიქსირა, რომ კინოთეატრი ქალებს დაეტოვებინათ და მხოლოდ მამაკაცები დარჩენილიყვნენ. მიუხედავად ამისა, არიან მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ, რომ რამდენიმე სპეცრაზმელმა კინოთეატრის შენობაში ქალები გააუპატიურა.

**— რამდენად სარწმუნოა ეს ინფორმაცია?**

— ჯერ ვერ დაგისახელებთ იმ ორგანიზაციას, რომელმაც ეს ინფორმაცია მოგვაწოდა, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ეს არის სარწმუნო და დაზუსტებული ინფორმაცია, რომელსაც ყავს მოწმეები.

**— ასე საჯაროდ გააუპატიურეს ქალები?**

— საჯაროდ არა, მაგრამ არც თვითმხილველების გარეშე დაფიქსირებულა ეს ფაქტები.

**— ეს იყო მცდელობა თუ გაუპატიურება?**

— ჯერ ვერ გეტყვით, ეს იყო მცდელობა თუ დამთავრებული გაუპატიურება, როგორც დანაშაული, მაგრამ გიმეორებთ, ეს იყო დანაშაული, რომელსაც ჰყავს თვითმხილველები.

**— დაზარალებულებმა უკვე მოგმართეს?**

— არა, არა. ეს არის ძალიან დელიკატური საკითხი, რომლის გადახარშვასაც დრო სჭირდება. ეს არის ძალიან შემაშფოთებელი ფაქტი და არაადამიანური მოპყრობის უკიდურესი ფორმა. ესაა წამების ტოლფასი, ყოველ შემთხვევაში, ევროპის სასამართლოს გაუპატიურება წამების რანგში აქვს აყვანილი. თუ ეს დადასტურდება ოფიციალურად, ეს იქნება დიდი დანაშაული.

**— თუ დაზარალებულებმა არ მოგმართეს, თქვენ რა შეგიძლიათ?**

— თუ თავად დაზარალებულები ვერ მოერევიან თავს და თავად არ გახდებიან ინიციატორები, სამართლებრივ პროცედურებს ვერ დავიწყებთ, ვერ მოვახერხებთ ვერც იდენტიფიცირებას და ვერც სამართლებრივ დაცვას ვერ განვახორციელებთ.

**— მოწმეები არაა საკმარისი?**

— დაზარალებულებმა უნდა გამოთქვან სურვილი, ესაა მთავარი. ერთი საათია, რაც ეს ინფორმაცია გავიგეთ და შოკირებული ვარ.

**— სხვათა შორის, იქ მამაკაცების გაუპატიურებაზეც იყო საუბარი.**

— ჩვენ მოწმეები გვყავს მხოლოდ ქალების გაუპატიურების ფაქტებზე. ახლა ძნელია გვარების დასახელება, ვიდრე არ დავრწმუნდებით ყველაფერში.

**— ანუ იცით ვინ არიან დაზარალებულები?**

— გეუბნებით, ეს არის დელიკატური თემა.

**ნანა მაისაშვილი.**

presage.tv

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ვაი ტყუილისგან

*კარგ პოეტს, ენვერ ნიჟარაძეს, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის ცნობილი ტრაგიკული მოვლენების გამო საქართველოდან გადაიხვეწა, აქვს ერთი პატარა, მაგრამ ერთობ მრავლის მეტყველ-დამტევი ლექსი „ხედი ჯვრის მონასტრიდან“: „რასაც აქედან ანთებული თვალებით ვუმზერ, სხვისი რომ იყოს, ალბათ, შურით გავსკდები გულზე“.*

*დიდებულია! თქმა არ უნდა!*

*ახლა ჯვრის მონასტრიდან იმავე ხედის მეორენაირი, რუსი საბჭოთა ოფიცრისეული ხედვაც გავიხსენოთ ნოდარ დუმბაძის რომანიდან „ნუ გეშინია, დედა!..“ „და, ხაროში ნაბლიუდაწელნი პუნკტ, ვსიო უშჩელიე კონტროლირუეტ!..“*

*ამ ერთი ხედის ასეთი განსხვავებული ორნაირი ხედვა სულაც არ არის გასაკვირი — ერთი „დამნახავი“ ქართველი პატრიოტია, მეორე კი — რუსი, თანაც სამხედრო.*

# უქონელი მთავრობა და ცხოვრება-გაიოლებული ბრბო

## ერთი „ხედის“ ორნაირი ხედვა, ანუ რა პრინციპით გამოარჩევენ სიუჟეტიდან მთავარს „რუსთავი-2“ და „მაესტრო“?




ეს პასაჟი ამ რამდენიმე წლის წინაც გამოვიყენე, მაგრამ ახლა ისევ „მოვიმარჯვე“ იმის გასარკვევად, თუ რითი და როგორ შეიძლება ავხსნათ, რომ ერთ „ხედს“ ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულად ხედავს, აფასებს და აწვდის მაყურებელს ორი ტელეკომპანია, თანაც — ორივე ქართული?

მხედველობაში მყავს „რუსთავი-2“ და „მაესტრო“, სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებული „ხედი“ კი არის უკრაინული ტელეკომპანია „ინტერის“ გადაცემა „ბოლშაია პოლიტიკა“, რომლის წამყვანმა ევგენი კისელიოვმა პირდაპირ ეთერში დაუსვა შეკითხვები პრეზიდენტის რეზიდენციის წინ, რიყეზე მდგარ მიხეილ სააკაშვილს.

ვიდრე იმას მოგახსენებდეთ, რად დავინტერესდი ტელესივრცეში 28 მაისს გასული ამ სიუჟეტით, ჯერ „რუსთავი-2“-ის საიტიდან აღებულ იმდღევანდელ ტექსტურ მასალას გავეცნოთ (ტექსტურს-მეთქი, ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ ამ ტელეკომპანიის არც ვიდეოჩანაწერშია რამე ნათქვამი იმაზე, რაც „მაესტრომ“ გადასცა, უფრო სწორად, კი არის, მაგრამ სწორედ იქ წყდება, საიდანაც და რითაც „მაესტრომ“ დაიწყო!).

უცვლელად გთავაზობთ ამ ტექსტს:

**საქართველოში განვითარებული მოვლენებით უკრაინული ტელეკომპანია „ინტერიც“ დაინტერესდა. გადაცემა „ბოლშაია პოლიტიკას“ წამყვანმა ევგენი კისილიოვმა პირდაპირ ეთერში შეკითხვები საქართველოს პრეზიდენტს დაუსვა.**

**წამყვანი 2009 წლის აქციებით დაინტერესდა და პრეზიდენტს ჰკითხა, რატომ არ გაიმეორა ეს გადაწყვეტილება 2011 წელს მთავრობამ.**

**„რამდენადაც მე მესმის, მოსკოვმა გადაწყვიტა არაბული რევოლუციის იმიტირება მოეხდინა ჩვენთან, მაგრამ უპირველეს ყოვლისა მათ ამის შესაძლებლობა არ აქვთ, და მეორე მხრივ აქ არ არის საკმარისი ხალხი სამაგისოდ. ასეთი რევოლუცია აქ ერთხელ უკვე მოხდა 2003 წელს, როდესაც ხალხმა მოიშორა კორუმპირებული კლანი, რომელიც საქართველოს ბატონობდა. მას შემდეგ სიმდიდრე გაუჩინარდა ქართული პოლიტიკიდან, რა თქმა, უნდა ჩვენი მთავრობა არ არის იდეალური, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე ჩვენგანი არის მდიდარი. ჩემი არც ერთი ნათესავი არ მონაწილეობს ბიზნესში, არც ერთი თანამდებობის პირი არ ცხოვრობს ძვირადღირებულ სახლებში და არ ჰყავს ძვირფასი მანქანები, არავინ ყიდულობს საფრანგეთში ვილებს“...**

**„ასე რომ, ჩვენ შევქმენით სახელმწიფო, რომელსაც თავისი ნაკლოვანებების მიუხედავად, ხალხი ენდობა თავის მთავრობას, პარლამენტს, რომელიც მათ აბარებს ანგარიშს და არა სხვა კლანებს, კორუმპირებულ ჯგუფებს ან მით უმეტეს სხვა ქვეყნებს“...**

**„საქართველოში ცხოვრება გაცილებით იოლი გახდა და სახელმწიფო აპარატი — იქნება ეს პოლიცია თუ საგადასახადო სამსახური — განთავსებული არიან შუშის შენობებში, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შევიდეს. მე იმის თქმა მინდა, რომ სახელმწიფო აპარატი არის სერვისი — ჩვენ ვემსახურებით ხალხს“...**

ვფიქრობ, არაფრის თქმა და, მით უფრო, არანაირი კომენტარი არ არის საჭირო. ყველაფერი სიმართლე და ბაჯაღლო ჭეშმარიტებაა! მაგრამ ტექსტში განსხვავებული შრიფტით მაინც გამოვყავი რამდენიმე ადგილი, რომელთა გამოც ზოგიერთ მოინტრიგნო ადამიანს შეიძლება კითხვები გაუჩნდეს და სისინიც დაიწყოს — **თუ ჩვენს პოლიტიკაში არ არის ფული, აბა სხვაგან სად არის და ვისთან არისო, როგორ თუ არავინაა მთავრობაში მდიდარიო!**

როგორ და, კარგად, ბატონებო! **აბა რანაირი მდიდარია რომელიმე გუბერნატორი თუ მინისტრი, ყოველთვიურად მხოლოდ სულ რაღაც 40-50 ღვაწლმოსილი პენსიონერისთვის გასაცემ თანხას რომ მიიღებს მარტო პრემიად? ან განა მართლა არსებობს ჩოჩელების, კუბლაშვილების, ცისკარიშვილების, ბეჟუაშვილების, თარგამაძეების ან სხვათა უკვე აშენებული თუ მშენებარე სრასახლები, რომელთა ფოტოები პრესაშიც გამოქვეყნდა და სახალხოდაც გამოიფინა, არსებობს სიხარულის ქუჩა დიღომში, თბილისის ზღვის მიმდებარედ მიმდინარე მშენებლობები? მთლად ძველი „ჟიგულით“ დადიანო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ხელისუფლებისა და პოლიტელიტის წარმომადგენელთაგან, აბა, ვის ჰყავს ძვირფასი მანქანები?**

არავის, ძვირფასებო, და ამიტომაც ერთადერთი კითხვაღა მაქვს ამ ტექსტის მეორე აბზაცთან დაკავშირებით, რადგან წამყვანი რომ დაინტერესებულა, იმ კითხვაზე არაფერია ნათქვამი ჩვენი პრეზიდენტის პასუხებში.

ერთადერთიღა გავიგე გულგასახარი: **საქართველოში ცხოვრება გაცილებით იოლი გამხდარა!**

არ მითხრათ ახლა, გააჩნია, ვისთვისო!

და სწორედ წამყვანის კითხვა, რომელიც „რუსთავი-2“-ის მიერ გადაცემულ სიუჟეტში უპასუხოდ დარჩა, გაშიფრა სრულად „მაესტრომ“ (დიახ, გაშიფრა, რადგან ვინ მეტყვის, რას ნიშნავს, **წამყვანი დაინტერესდა 2009 წლის აქციებით და რატომ არ გაიმეორა ეს გადაწყვეტილება მთავრობამ 2011 წელსო?** მაინც იმ აქციების რა ასპექტით დაინტერესდა და რა უნდა გაგვემეორებინა 2011 წელს?!).

და, აი, თურმე რა აინტერესებდა წამყვანს 2009 წლის აქციებიდან.

**— 2009 წელს თქვენ აღლუმი არ ჩაგიტარებიათ, რადგან, როგორც მაშინ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა, სიმშვიდე და არეულობის არდაშვება ქვეყნისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე აღლუმი. ახლაც რად არ მოიქეცით ასევე, რა შეიცვალა?**

ამაზე ჩვენმა პრეზიდენტმა ასე უპასუხა: **საქართველო მაშინდელთან შედარებით საგრძნობლად გაძლიერდა, თანაც მაშინ მიტინგებში ოპოზიციონერთა ფართო სპექტრი მონაწილეობდა, ახლა კი მხოლოდ ერთი ჯგუფიო.**

ზოგიერთმა მოინტრიგნემ ეს პასუხი ასეც შეიძლება „მოთარგმნოს“: **მაშინ არც სახელმწიფოს ჰქონდა მიტინგების ჯეროვნად დარბევის (და არა დაშლის!) ძალ-ღონე და მომიტინგენიც ბლომად იყვნენ, ახლა კი მეტი ძალაც გვაქვს და დასარბევნიც ცოტანი იყვნენო!**

თუმცა ახლა მოინტრიგნეებს შევეშვათ და „მაესტროს“ სიუჟეტის იმ კითხვას შევეხოთ გამოწვლილვით, რომელიც წამყვანმა დასვა და რომელზეც პრეზიდენტ სააკაშვილის პასუხის ერთმა შეფასებამ გამაოგნა.

**ე. კისელიოვი: „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ დაწერა, რომ მიტინგის დარბევისას ხელისუფლების ქმედება გადაჭარბებული იყო. ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაცია „ჰუმან რაიტს ვოტჩი“ წერს, რომ მიტინგი სანქცირებული რომც არ ყოფილიყო, მშვიდობიანი დემონსტრანტების ცემაზე პასუხისმგებელი სამართალდამცავები არიან და ისინი უნდა დაისაჯონ. არა გაქვთ შეგრძნება, რომ გადაამლაშეთ?**

**მ. სააკაშვილი: მე არ ვიცი კონკრეტულად ეს სტატია, მაგრამ ვიცი, რას ამბობენ დიპლომატები. გუშინ და გუშინწინ აშშ-ის და ევროკავშირის ელჩები აცხადებდნენ, რომ აქციის დაშლა იყო კანონიერი, პოლიციის ქმედება მთლიანობაში გამართლებული იყო. ისინი ადეკვატურები იყვნენ. თუ მათ ძალას გადაამეტეს, ეს გამოძიებული იქნება, მაგრამ თქვენ იმ კადრების ნაწილი არ უჩვენეთ. დღეს უფრო ცუდი კადრები გაავრცელეს, სადაც ჩანს, როგორ გადაუარა ოპოზიციის ლიდერთა კორტეჟმა ბრბოს...**

პრეზიდენტის შეფასებამ გამაოგნა-მეთქი, სწორედ პასუხის ბოლო სიტყვაზე ვთქვი: **ქვეყნის ხელმძღვანელი თავის**




**თანამოქალაქეებს, თუნდაც მის საწინააღმდეგოდ მომიტინგეებს, ბრბოდ რომ მოიხსენიებს, ამის შემდეგ საერთოდ ღირს კი რაიმეს თქმა?**

თუმცა ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: **კორტეჟი, მოგეხსენებათ, როგორც წესი, რამდენიმე მანქანისგან მაინც შედგება და, როგორ წარმოგიდგენიათ, ამ რამდენიმე მანაქანას მართლაც რომ „გადაევლო ხალხის ბრბოსთვის“, როგორც ამის თქმის უფლება თავის თავს სახალხოდ მისცა მიხეილ სააკაშვილმა, იქ მარტო ერთი კაცი დაიღუპებოდა?**

ეს, შეიძლება ითქვას, ისეთივე სიმართლეა, როგორიც იმავე ტელეინტერვიუში სააკაშვილისავე ნათქვამი, რომ **საქართველოში თურმე ხალხის პოლიციისადმი ნდობა ლამის საპატრიარქოსადმი ნდობის ტოლფასი ყოფილა** (იმას კი არ ვამბობ, რომ ჩვენში პოლიციას ხალხის პატივისცემა და სიყვარული არა აქვს, მაგრამ, ჯერ ერთი, მუდმივი და ულევი არაფერია, და, რაც მთავარია, — არა მგონია თანამოქალაქეებისადმი სპეცდანიშნულების რაზმელთა ასეთმა დაუნდობელმა, ლამის მტრულმა დამოკიდებულება-მოპყრობამ ხალხი პოლიციისადმი მომავალშიც კეთილად განაწყოს!), ან თუნდაც ჩვენი პრეზიდენტის ის მტკიცება, რომ **„საქართველოში ცხოვრება გაცილებით იოლი გახდა“.**

თუ იმ ერთი ფრთიანი ფრაზით ვიხელმძღვანელებთ, რომლის მიხედვითაც მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონა და ამიტომაც წვრილად უფშვნიდა, კი არის ასე, მაგრამ **ვერ ვამჩნევთ, ხალხისთვის ცხოვრების პირობები პირიქით, სულ უფრო რომ მძიმდება და უარესდება?**

ასე რომ, თავს უფლებას მივცემ და შეგისწორებთ, ბატონო პრეზიდენტო: **მთავრობა კი არ არის უქონელი და ხალხისთვის ცხოვრება კი არ გამხდარა გაცილებით იოლი, როგორც ამას უმტკიცებდით უკრაინის ტელემაყურებელს, არამედ, სწორედაც რომ, პირიქითაა** (რაკი მართლაც ლამის ჯიბის ტელევიზიებად ქცეულ ქართულ ტელეკომპანიათა უმეტესობას რასაც გვინდა, იმას ვათქმევინებთ და გადავაცემინებთ, განა ჩვენი ყოველდღიურობა სწორედ ისეთია, როგორიც თქვენი ვარდისფერი სათვალეებით ჩანს?!).

**ამას დროულად მიაქციეთ ყურადღება, თორემ ხალხი მართლა ბრბო კი არ არის, უბრალოდ, ჯერხნობით, მისი ძირითადი მასა ცხვრის ფარასავით უწყინარია.**

**მაგრამ ცხვარი თუ გაცხარდა!..**

**რატომღაც თქვენი საქციელით, თუნდაც ტრაბახ-ტყუილების მომეტებული სიყვარულითაც, გასაკვირი სიჯიუტით მიგყავთ საქმე აქეთკენ!**

**რუსლან რუსია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ლაპარაკობენ თვითმხილველები

# სპეცრაზმელების მიერ თავგაჩეჩქვილ სულიკო ასათიანს მიხეილ სააკაშვილმა პირადად გადასცა ომში დაღუპული შვილის ორდენი

ჯერ კიდევ უამრავი ადამიანი ითვლება დაკარგულად. გამორიცხული არაა, გარდაცვლილთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს. ხელისუფლება ცდილობს სახურავებზე ნაპოვნი გარდაცვლილი ადამიანების ცხედრები სხვადასხვა გარემოებებს მიაწეროს, თუმცა დარბევის თვითმხილველების მონათხრობები საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ სპეცრაზმელებს სასიკვდილოდ ყავდათ გამეტებული საკუთარი თანამოქალაქეები. ყაჩაღობა, ძარცვა, ცემა, წაქცეულებზე მიშარდვა, შეურაცხყოფა და მკვლელობა – ასე მიულოცეს დამოუკიდებლობის დღე სამართალდამცველებმა მიტინგის მონაწილეებს. თვითმხილველები გამაოგნებელ ფაქტებს ყვებიან, როგორ ამცირებდნენ და აწამებდნენ მათ ის ადამიანები, რომლებიც, წესით საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე უნდა ზრუნავდნენ.

ნიკა კვინტრაძის და სულიკო ასათიანის ცხედარი თავისუფლების მოედანზე, მაღაზიის სახურავზე იპოვეს და შსს-მ მყისიერად გამოთქვა ვარაუდი, რომ ორივენი მაღალი ძაბვის სადენებს ემსხვერპლნენ. შესაძლოა, ეს ვერსია დამაჯერებელი ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება – გაუგებარია, როგორ მოახერხეს ბორკილებდადებულმა ადამიანებმა სახურავზე ასვლა? კვინტრაძის მეგობარმა ავთანდილ რეხვიაშვილმა დაადასტურა, რომ სამართლადამცველებმა კვინტრაძეს ხელბორკილები დაადეს, რის შემდეგაც ის ერთ-ერთ სამართველოში გადაიყვანეს და სწორედ აქედან იკარგება კვინტრაძის კვალი. რაც შეეხება სულიკო ასათიანს, რომლის ცხედარიც კვინტრაძის ცხედრის გვერდით იყო აღმოჩენილი, თვითმხილველთა თქმით, ისიც სპეცრაზმელების მსხვერპლი გახდა. ვანელი სულიკო ასათიანის შვილი 2008 წლის აგვისტოს ომში დაიღუპა. მიხეილ სააკაშვილმა გარდაცვლილი გორგასლის ორდენით დააჯილდოვა და ორდენი პირადად გადასცა აწ უკვე გარდაცვლილ სულიკო ასათიანს. ომში რუსების მიერ დახვრეტილი ბიჭის მამა, სულიკო ასათიანი „სახალხო კრების“ აქციების გამო ჩამოვიდა თბილისში და 26 მაისის ავბედით ღამეს, რამდენიმე ნაცნობთან ერთად, რუსთაველის გამზირზე მიხეილ სააკაშვილის მმართველობას აპროტესტებდა. დარბევის პირველსავე წუთებში იგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც სასიკვდილოდ გაიმეტეს სპეცრაზმელებმა და 28 მაისს თავგაჩეჩქვილი გადაასვენეს მშობლიურ ვანში.

პრესაგე.ტვ-ის სულიკო ასათიანის ნაცნობი დაუკავშირდა, რომელმაც ასეთი რამ გვიამბო: „არ მოველოდით, რომ ასე სასტიკად გაგვისწორდებოდნენ, გაქცევაც ვერ მოვასწარით. ისე გამეტებით გვირტყამდნენ ხელჯოხებს, რომ სულიკოს თავი გაუჩეჩქვეს. ის მიწაზე ეგდო და ხელბორკილი ედო, თუმცა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შემდეგ, იგი თვალთახედვიდან დავკარგე და ამის შემდეგ, ცოცხალი არ მინახავს. როგორც ჩანს, დასისხლიანებულმა მაინც მოახერხა გაქცევა, მაგრამ სახურავზე როგორ აღმოჩნდა არ ვიცი. შესაძლოა, იქ თავად სპეცრაზმელებმა აიყვანეს და დააგდეს, რადგან თავი ისე ჰქონდა გახეთქილი, ალბათ, სისხლისგანაც დაიცალა. პირადად მე, მხუთავი გაზი რომ გაუშვეს, გონება დავკარგე და გონზე საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოვედი. საავადმყოფი პრაქტიკულად გადავსებული იყო დაშავებულებით და ათას რამეს ყვებოდნენ. ხალხმა ბოლომდე არ იცის იქ რაც ხდებოდა. რამდენიმე დაზარალებულისგან მოვისმინე, როგორ აყენებდნენ წაქცეულ ადამიანებს შეურაცხყოფას – სპეცრაზმელები წაქცეულებს ჯერ ცემდნენ და შემდეგ თავზე აშარდავდნენ, მაგრამ ხმამაღლა ვინ იტყვის დამაშარდესო. ბოლოს ყველა, ვისაც სიარული შეეძლო, ფეხზე წამოაყენეს და ხელბორკილდადებულები რუსთაველზე ჩაატარეს. ეს საშინელება იყო.“ – ყვება ჩვენი რესპონდენტი, რომლის ვინაობას, სამწუხაროდ, ვერ ვასახელებთ.

26 მაისის დარბევის შემზარავ ფაქტებს კიდევ ორი დაზარალებული, ერთი კაცი და ერთი ქალბატონი ყვება, რომელთა მონათხრობი პრესაგე.ტვ-ს ელექტრონული ფოსტით მიაწოდეს. მამაკაცის განცხადებით, იგი რუსთაველის კინოთეატრის სცენის უკანა მხრიდან უყურებდა, თუ როგორ სცემდნენ და აწამებდნენ ადამიანებს. შემდეგ ისიც დაიჭირეს და სავენტილაციო მილში ჩატენეს. ქალბატონიც სასტიკად იყო ნაცემი, უჭირდა საუბარი და ცრემლებს ვერ იკავებდა. „მე ვუყურებდი რუსთაველის კინოთეატრის უკანა მხარეს სცენიდან, როგორ აწამებდნენ ჩვენს ახალგაზრდებს, როგორ აწამებდნენ და სცემდნენ მოხუცებს. მერე, როცა თვითონ დაიღალნენ და შემოვლა დაიწყეს, ზევით მიპოვეს, შემიკრეს ხელები და სავენტილაციო მილში ჩამაგდეს, თან დააყოლეს – აქ მოკვდებიო. მთელი ღამე იქ ვიყავი. აღლუმი თუ (ბოდიში ამ სიტყვაზეძ ეს მაგათი დებილური პარადი, რომ დამთავრდა, როგორც იყო გამოვძვერი და სახლამდე მივაღწიე. საშინელი სანახავი იყო, როცა ვუყურებდი, როგორ აწამებდნენ ხალხს, ახალგაზრდებს და მოხუცებს. როცა სპეცრაზმელები შენობაში შევიდნენ, ორმა ახალგაზრდამ მათ უთხრა: აქ მოხუცები, ქალები და ბავშვები არიან და გთხოვთ გაზს ნუ გაუშვებთ, ნუ ცემთ და ჩვენ რაც გინდათ ის გვიყავითო. არც მოუსმინეს, მაშინვე დაერივნენ ყველას და იცით როგორ ცემდნენ? გეფიცებით, როცა შევარდნაძის ხელისუფლებამ მაწამა, მაშინ არ მიტირია. ამ ყველაფრის შემხედვარე კი ბავშვივით ვტიროდი“.

ქალბატონი იხსენებს: „მომვარდნენ და ცემა დამიწყეს. მთელი ტანი დალურჯებული მაქვს, თავი – გახეთქილი. ბოზღვით ვცადე იქაურობას გავცლოდი, მაგრამ წამომეწივნენ და წაქცეული გამძურდეს. აბსოლუტურად ყველაფერი ჩამომაგლიჯეს – ბეჭდები, ჩანთა, ტანსაცმელი და ამასაც არ დასჯერდნენ, ფეხსაცმელიც გახადეთო, ყვიროდნენ. ერთმა საყურის ჩამოგლეჯვა მოინდომა და მეორეს უთხრა ყურები ჩამოვგლიჯოთო. მე ვუთხარი, თვითონ მოგცემთ საყურეს, ოღონდ ყურებს ნუ ჩამომგლეჯთ-თქო, ბეჭდები როგორ წამაცალეს, აზრზე არა ვარ. ჩემი ტანი რომ ნახოთ, საცოდაობით დაიწვებით. ვუთხარი პირადობები მაინც დამიბრუნეთ-მეთქი და – პირადობა არა, წადი შენი, მოგკლავთ ახლაო – დამემუქრნენ“.

პრესაგე.ტვ მოგვიანებით კიდევ ერთი დაზარალებულის ისტორიას და მონაყოლს შემოგთავაზებთ. რეადაქციას უამრავი ადამიანი უკავშირდება, რომელიც ადასტურებს იმ ბარბაროსულ ფაქტებს, რაც სამწუხაროდ, ჩვენმა სამართალდამცველებმა ჩაიდინეს.

**გვანცა გიორგობიანი,**
presage.tv



შიშში ცხოვრება აღარ სურთ

## ირაკლი სესიაშვილი:

# ხელისუფლების შიში არსებობს, მაგრამ კონსოლიდაციის მუხტი უფრო მაღალია

**5 გარდაცვლილი და 90-მდე დაკავებული! ეს არის დამოუკიდებლობის დღეს, დამოუკიდებელი ხალხის დარბევის ტრაგიკული ღამის ოფიციალურად დასახელებული შედეგი. გაცილებით გრძელია სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგად გამოქვეყნებული სია, რომელიც 152 დაკავებულისა და რამდენიმე ათეული დაკარგული მომიტინგისგან შედგება, მაშინ, როცა თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკარგულად არც ერთ მოქალაქეს არ განიხილავს...**

**– ბატონო ირაკლი, 26 მაისის აქციის დაშლის შემდეგ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მხრიდან პირველი შეფასება იყო ის, რომ ხელისუფლებამ მომიტინგეების წინააღმდეგ არაპროპორციული ძალა გამოიყენა. არის თუ არა ეს ასე და რამდენად შესაძლებელი იყო იმ ღამით რუსთაველზე განვითარებული მოვლენების უმსხვერპლოდ დასრულება?**

– რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო და ხელისუფლებას ნებისმიერ შემთხვევაში ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ აქციის დაშლა ისეთი კატასტროფული შედეგით არ დასრულებულიყო, როგორიც მივიღეთ: გვყავს რამდენიმე გარდაცვლილი, გვყავს დაკარგულები, ნაცემი, ნაწამები ადამიანები, დაინვალიდებულები... აქედან გამომდინარე, ერთმანეთს ის საბაბი რომ შევადაროთ, რითაც ხელისუფლება მოქმედებდა (მხედველობაში მაქვს აღლუმის ჩატარებაძ და მსხვერპლი და შედეგი, რაც მივიღეთ, არის აბსოლუტურად არაპროპორციული. ამ გადაწყვეტილებამ, როგორც პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ, უმძიმესი შედეგი მოგვიტანა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ, პირველ რიგში, პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ყველა იმ ადამიანს, ვინც დარბევის გადაწყვეტილება მიიღო.

რაც შეეხება უშუალოდ მიტინგის დაშლას, შევხედოთ რა სტრატეგიით მოქმედებდა სპეციალური დანიშნულების რაზმი. მათი სტრატეგია და პოლიტიკური მიზანი იყო ის, რომ ყველა მომიტინგეს, აქციის ორგანიზატორ პოლიტიკურ ჯგუფსა თუ ორგანიზაციას დაენახა, რომ ხელისუფლება გაუსწორდება ყველას, ვინც მოინდომებს რევოლუციური სცენარებით მოქმედებას, მათ შორის ძალადობრივი გზებით. ჩანდა კიდეც, რომ სამართალდამცველების მიზანი იყო, არა უბრალოდ დაეშალათ აქცია და მიეღწიათ ტერიტორიის გასუფთავებისთვის, არამედ მათი მიზანი და შესაბამისი სტრატეგია იყო, მოწინააღმდეგე ალყაში მოექციათ და პირობითად გაენადგურებინათ. პირობით განადგურებაში არ იგულისხმება მათი დახოცვა და მოკვლა. მხედველობაში მაქვს მათი დაკავება, ტერიტორიიდან ძალადობრივად გაყვანა, მათი დაშინება და ა.შ.. როცა დაშლის პროცესში სამართალდამცველები მოქმედებენ ე.წ. ალყის პრინციპით, ფაქტია, რომ საქმე გვქონდა არა ტერიტორიის გასუფთავებასთან, არამედ მოწინააღმდეგეების განადგურებასთან, დაპატიმრებასთან. რატომ მოიქცა ხელისუფლება ასე? იმიტომ, რომ შეეშინდა – თუ აქციის ძალადობრივი გზით გამოყენებით დაშლა არ მოხდებოდა, დიდი ალბათობა არსებობდა, რომ აქციის მონაწილეები იმ დღესვე ან მეორე დღესვე შეკრებილიყვნენ და საპროტესტო აქციები გაეგრძელებინათ, რასაც შეიძლებოდა ხელისუფლებისთვის საშიში ფორმები მიეღო.

**– თქვენ ე.წ. ალყის სტრატეგიას აკრიტიკებთ. ფიქრობთ, რომ თუნდაც ერთი მიმართულებით გზის გახსნით, რაც მომიტინგეებს გაქცევის საშუალებას მისცემდა, ძალადობისა და ქაოსის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი?**

– როცა დაშლის ოპერაცია დაიწყო და წყლის ჭავლი გამოიყენეს, დავინახეთ, რომ მომიტინგეებმა დაშლა დაიწყეს და უკან იხევდნენ. ასე რომ, იმის ყველა საფუძველი არსებობდა, მათი დაშლა ყოველგვარი ძალადობისა და ქაოსის გარეშე მომხდარიყო. თუმცა იმდენად, რამდენადაც სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოიყენეს ალყის სტრატეგია, მომიტინგეები იძულებული გახდნენ ალყის გარღვევა მოეხდინათ და თავისუფალი გასასვლელი ეპოვათ. ხელისუფლებას რომ მიზანმიმართულად არ დაერბია აქციის მონაწილეები და მათთვის უფლება მიეცა, გასცლოდნენ ტერიტორიას, ისინი, მარტივად რომ ვთქვათ, წასასვლელს იპოვნიდნენ და დაიშლებოდნენ. ვფიქრობ, ერთი მიმართულებიდანაც რომ წამოსულიყო სპეცრაზმი, ის ყოველგვარი პანიკის გარეშე შეძლებდა აქციის მონაწილეების დაშლას და თუ მომიტინგეები რაიმე ძალადობას მიმართავდნენ, ასეთ შემთხვევაში შეეძლოთ მათი დაკავება მოეხდინათ, ოღონდ დაეკავებინათ მხოლოდ ის, ვინც დანაშაულს სჩადიოდა და არა განურჩევლად ყველა.

იხ. 6 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## შიშში ცხოვრება აღარ სურთ

### ირაკლი სესიაშვილი:

# ხელისუფლების შიში არსებობს, მაგრამ კონსოლიდაციის მუხტი უფრო მაღალია

(მეხუთე გვერდიდან)

**— 26 მაისიდან მოყოლებული შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველდღიურად აქვეყნებს აუდიო და ვიდეო მასალას, რომელთა მიხედვითაც, „სახალხო კრება“ სახელმწიფო გადატრიალების გეგმას ამზადებდა. ამას ემატება ის, რომ მთავარმა პროკურატურამ ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. რამდენად მოსალოდნელია, დაჭერების სერია დაიწყოს?**

— საქმე ისაა, რომ ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, უკან დასახევი გზა მოიჭრა. იმით, რომ მან წინასწარი პოლიტიკური განცხადებებით „სახალხო კრება“ რუსეთთან კავშირში დაადანაშაულა, ჩიხში მოიქცია თავი. თუ ასეთი განცხადებების შემდეგ ხელისუფლება ვინმეს არ დაიჭერს და კონკრეტულ ბრალდებას არ წაუყენებს, ეს დაადასტურებს, რომ ის, უბრალოდ, ცრუობდა, როცა ასეთ განცხადებას აკეთებდა და, რა თქმა უნდა, ამას არასერიოზულად აღიქვამს საზოგადოებაც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამ ყველაფერს რამდენიმე პირის თავისუფლება შეეწირება და დაჭერები აუცილებლად დაიწყება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება აღმოჩნდება საკუთარი პოლიტიკური განცხადებების მსხვერპლი, რითაც დადასტურდება, რომ ის, უბრალოდ, იტყუებოდა.

სხვათა შორის, გაუმართლებელია პრეზიდენტის ის განცხადება, რომელშიც აქციის გარკვეული ორგანიზატორები რუსეთთან კავშირში დაადანაშაულა. ვფიქრობ, ამით დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია. სააკაშვილის ეს განცხადება პირდაპირ მიანიშნებს მისი მხრიდან სასამართლო ხელისუფლებასა და სამართალდამცველ ორგანოებზე ზეწოლაზე.

**— რაც შეეხება აქციის დარბევის შედეგად გაუჩინარებულ ირაკლი ბათიაშვილს, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, 2 დღე-ღამის განმავლობაში კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობის სახურავზე იმალებოდა, რამდენად დამაჯერებელია ბათიაშვილის ეს მონაყოლი, როცა პარლამენტის შენობის წინ 26 მაისს ალლუმი ჩატარდა და, ალბათ, იქამდე ტერიტორია საგულდაგულოდ შემოწმდა...**

— როდესაც ალლუმის ჩატარებიდან რამდენიმე დღის შემდეგ იქმნება ისეთი სურათი, რომ თურმე ბათიაშვილი და აქციის რამდენიმე მონაწილე კინოთეატრ „რუსთაველის“ სხვენზე იმალებოდა, რასაც ემატება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ეზოსა და მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე მაღაზიის სახურავზე გვამების აღმოჩენა, ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას. ალლუმის ჩატარებამდე მიმდებარე ტერიტორია თავიდან ბოლომდე უნდა ყოფილიყო შემოწმებული და უსაფრთხოების ზომები დაცული, რაც, როგორც ჩანს, არ გაკეთებულა. უსაფრთხოების სამსახურს პარლამენტის ყველა ახლომდებარე ტერიტორია რუსთაველის გამზირის მომიტინგეებიდან გაწმენდისთანავე უნდა შეემოწმებინა და დაეთვალიერებინა, ხომ არ იყო იქ რაიმე ტიპის კანონსაწინააღმდეგო ნივთიერება ან პირი, რომელსაც შეეძლო საფრთხე შეექნა ალლუმის ჩატარებისა და იმ მაღალჩინოსნების უსაფრთხოებისთვის, რომლებიც ღონისძიებას ესწრებოდნენ, მათ შორის, უპირველესად, პრეზიდენტისთვის.



**— დაბოლოს, თქვენ ახსენეთ, რომ აქციის ძალისმიერი მეთოდით დარბევის ერთ-ერთი მიზანი იყო საპროტესტოდ განწყობილ ელექტორატში საპროტესტო მუხტის ჩახშობა და ის, რომ მათ ქუჩაში გამოსვლა მომავალში აღარ გაებედათ. როგორ ფიქრობ, ხელისუფლების ეს მიზანი მიღწეულია?**

— ხელისუფლების მოქმედებამ გარკვეული შედეგი გამოიღო, რადგან მიტინგი იმ შემადგენლობით, რა შემადგენლობითაც იმართებოდა, მეორე დღეს აღარ გაგრძელებულა. თუმცა ხელისუფლება ყოველთვის მოკლევადიანი გეგმით მოქმედებს და მას არ აქვს უნარი, საშუალოვადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაზე იფიქროს. დარწმუნებული ვარ, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეთხელდება იმ ადამიანების რიგი, რომლებიც, ასე თუ ისე, ამართლებენ ხელისუფლების პოლიტიკას. ამასთან, შეიძლება გააქტიურდეს ის საზოგადოებაც, რომელსაც ჰქონდა ხელისუფლების მიმართ პროტესტი, მაგრამ აქამდე არ გამოხატავდა, იმდენად, რამდენადაც, გარკვეულწილად ეშინოდა. თუმცა 26 მაისის ღამის შემდეგ ბევრმა მათგანმა დაინახა, რომ ხელისუფლება მათაც მიადგება სახლებში. ამიტომაც იყო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ რამდენიმე დღის წინათ გამართულ სოლიდარობის აქციაზე მოვიდა ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც შეიძლება პირველად გავიდა აქციაზე. ამ ადამიანებს აღარ აქვთ სურვილი, იცხოვრონ შიშში. შიში არსებობს, მაგრამ კონსოლიდაციის მუხტი უფრო მაღალია.

**ლელა ბალდავაძე.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## რა დღეშიც ვართ

# პერსპექტივაში კი მხოლოდ ჰორიზონტი ჩანს, რომელიც...

### ანუ ბანანის ღვინის, სირაქლემას საცივის, ნიანგის მწვადისა და ზოგიერთი სხვა რამის შესახებ

**კითხვაზე, როგორა ხარ? — ერთმა ჩვენმა კოლეგამ, დიდად ენამოსწრებულმა კაცმა პასუხი იცის ხოლმე: გითხრა კარგად ვარო თუ ახია შენზე, მოგიყვე მართლა როგორ ვარო?!**

**ასეა ჩვენი ყოფაც, თუმცა უმრავლესობამ, ძალიან მორიდებულად რომ ვთქვათ, ოდნავადაც არა ვართ დალხენილნიო, არც ეს იქნება სიმართლისგან ძალიან შორს. ცხოვრება დღითი დღე ჭირს, შემოსავალი, ფასებისგან განსხვავებით, იოტისოდენადაც არ იზრდება. ვითარება, გარდა იმისა, რომ ყოველდღიურად მძიმდება, აბსურდულსაც მაქსიმალურად უახლოვდება, რადგან ტყუილებით გაბერილ და „პოტიომკინის სოფლებით“ თვალებაჭრელებულ მოსახლეობას დაახლოებითაც არ წარმოუდგენია ხვალ და, მით უმეტეს, ზეგ რა იქნება, რა გუნებაზე იქნებიან „ის“ ძიები.**

ეკონომიკა, მოგეხსენებათ, მნიშვნელოვანწილად, სტატისტიკასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ახლა იმის გარჩევას არ შევუდგებით, თუ რამდენად აისახა ფინანსური კრიზისი ეროვნულ ეკონომიკაზე, რომელიც „ოლიმპიურ მიღწევებს“, სამწუხაროდ, ვერც მანამდე დაიკვეხნიდა. დავიწყოთ იმით, რომ ინფლაციის დონემ წლიურ 14 პროცენტს გადააჭარბა, თუმცა კი სამართლიანობა მოითხოვს ისიც ვთქვათ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში, კერძოდ, ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროში მისი 8-პროცენტიან ნიშნულამდე „ჩამოქვეითებას“ აპირებენ. რამდენად რეალური გამოდგება ეს მოლოდინი, ვნახავთ.

ამდენად, ჯერჯერობით მზარდი ინფლაციით ასევე იზრდება ქვეყნის საგარეო ვალი — მილიარდი ლარის ევროობლიგაციების ლონდონის ბირჟაზე განთავსებამ 2013 წელს გასასტუმრებელი 500-მილიონიანი ვალი 2021 წლამდე მხოლოდ გადაგვივადა და არ მოგვიხსნა. ამ დროს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სილარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. კატასტროფული მდგომარეობაა ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობის მხრივ, რომელთაგან ეს უკანასკნელი დაახლოებით ოთხნახევარჯერ სჭარბობს პირველს.

ვფიქრობთ, რომ საკმაოდ არასახარბიელოა, მაგალითად, მეზობელ აზერბაიჯანთან ჩვენი შედარება მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მაჩვენებლით რუსეთის აგრესიის მომდევნო, 2009 წელს, საქართველომ 10,8 მილიარდი დოლარის მშპ აწარმოა, ხოლო აზერბაიჯანმა — 43,2 მილიარდი დოლარის! რუსეთის აგრესია ამ კონტექსტში (ისევე, როგორც სხვა დროსძ შემთხვევით არ გვიხსენებია, რადგან მან უაღრესად ნეგატიური გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე, მაგრამ, ამავე დროს, ისიც ხომ ფაქტია, რომ მაშინ უზარმაზარი თანხები ჩვენმა დასავლეთელმა პარტნიორმა ქვეყნებმა გამოგვიყვეს და, მიუხედავად ამისა, მას შემდეგ მდგომარეობა არა თუ არ გამოსწორებულა, არამედ უარესდება და ეს ტენდენცია საკმაო სიმყარითაც გამოირჩევა.

ცალკე აღსანიშნავია, რომ ისეთ აგრარულ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ნამდვილად სამარცხვინოა (უფრო „მაგარი“ გამოთქმა რომ არ ვიხმაროთძ, რომ სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 8 პროცენტს ოდნავ ჭარბობდეს! ამდენად, რა გასაკვირია, რომ მისი პროდუქცია შიდა ბაზარს ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს. ამას კიდევ სხვადასხვა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის უძლიერეს სახელისუფლებო ლობისაც თუ დავუმატებთ, მაშინ როგორ შეიძლება გაგვიკვირდეს, რომ უსინდისო შემომზიდველები ნიტრატებით გატენილ და გენმოდიფიცირებულ ხორცს, თევზს, რძეს, ბოსტნეულსა თუ ხილს „გვტენიან“?!

ვის და რას უნდა დააბრალოს ყოველივე ეს კაცმა? პასუხის ადრესატის ვინაობა, ცხადია, ეჭვს, გარდა კარგად გამოკვეთილი მედროვეებისა, არავისში იწვევს. ისევე, როგორც ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, თუ ვისი ბრალია, რომ ქვეყანას რამდენადმე სოლიდურ ვადაზე გათვლილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა არა აქვს. მთავრობა ზოგადად, და მისი კონკრეტული რგოლები (იგივე ფინანსთა, ანდა ეკონომიკისა და „მდგრადი“ განვითარების სამინისტროებიძ, მოკლევადიანი პროექტებით გადიან ფონს, თანაც ყველაზე დრამატული ისაა, რომ მათგან ნახევარსაც ვერ ასრულებენ, ხოლო რასაც ასრულებენ, სჯობს, ისევ ძველებურად დატოვონ, რადგან გაფუჭებულის გასწორებას ისევ ახლის გაკეთება სჯობს. სწორედ ამ უთავბოლო (თუ არა განზრახ არეულიძ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რომ კატასტროფულად არის გაზრდილი ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულება, საკუთარი პრიორიტეტული სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო დარგები კი ლამის ერთიანად გაჩანაგებულია.

დღე ერთია და „სხვადასხვა სიმაღლის“ ტრიბუნებიდან გვესმის, რომ ქვეყანაში ბიზნესის კეთების საუცხოო პირობებია, ინვესტორთათვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი გარემოა, ამიტომ, **მოდით, მობრძანდით, იყიდეთ რაც გსურთ — მიწები, სავარგულები, შენობა-ნაგებობები, და გვიპატრონეთო. სწორედ ისე, ძველი „რუსიჩები“ რომ ეხვეწებოდნენ რიურიკებს — მიწა-წყალი მდიდარი გვაქვს, მაგრამ თავად საკუთარი უთავბოლობით ვერ ვპატრონობთ, მობრძანდით და გვიბატონეთო.**

ამ ძახილს მავანნი კი ეხმაურებიან, მაგრამ ინვესტიციების გალების მათთვის მაქსიმალურად მოსახერხებელი და, შესაბამისად, უფრო მომგებიანი სქემით. **ბოლო წლების მანძილზე საქართველოში, ფაქტობრივად, არც ერთი მეტ-ნაკლებად სოლიდური ინვესტორი არ შემოსულა, რომელსაც სახსრები ეკონომიკის რეალურ სექტორში დაებანდებინოს, ანდა თუ ამ განზრახვით თითებზე ჩამოსათვლელი მაინც ყოფილა, საბოლოო ანგარიშით, აქედან ისე „ათესილა“, ქვა-ქვაზე არ დაუდია.** ისეთ მაღალი რისკის დარგებში ფულის დაბანდება კი, როგორიცაა საქართველოსთვის უმნიშვნელოვლანესი და, არ მოვერიდებით ამის თქმას, მხსნელი სოფლის მეურნეობა, უცხოელ ინვესტორებს არც უფიქრიათ. ამ მხრივ თუ რაღაც დონეზე „დახმარებას გვიწევენ ეს, უმთავრესად, ან ისევ თავიანთი წარმოების გენმოდიფიცირებული, ძვირადღირებული სათესლე მასალაა, ანდა ლიზინგის წესით გადმოცემული მეორადი მოხმარების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ამ მხრივ გამოსავალი იქნებოდა ამ მიმართულებით სამამულო ინვესტორთა სტიმულირება, რაც, უწინარესად, კომბანკების მხრიდან ფინანსური ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს, რისთვისაც მიზნობრივ კრედიტებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებია დასაწესებელი, მაგრამ ამის გაკეთებას არავინ ჩქარობს. ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ჩვენში საზღვარგარეთიდან უხარისხო საქონლის ჩამოტანაზე უფრო „სახლაფოროთო“ და ძვირია, თანაც მის იმპორტს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უძლავრესი ლობი აქვს. ასე რომ, პერსპექტივაში მხოლოდ ჰორიზონტია, რომელიც, როგორც სკოლამდელი გეოგრაფიიდან ვიცით, წარმოსახვითი ხაზია ცასა და დედამიწას შორის, თან რაც უფრო ახლოს ვართ მასთან, მით უფრო შორსაა იგი ჩვენგან.

ისე, კაცმა რომ თქვას, ეს ჩვენი დღევანდელი ყოფა ასე დუხჭირი და სავალალო რომ არ იყოს, ყველაფერი, რაც მოსახლეობას თუნდაც ბოლო წლების მანძილზე თავს დაატყდა, რომელმე სატირულ რომანში რომ ამოგვეკითხა, სიცილით უნდა დავხოცილიყავით და არა შიმშილით, უწამლობითა და უექიმობით. მართლაც, იმაზე კომიკური ვითარების წარმოდგენა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაშიც ანალოგი ძნელად რომ მოეძებნოს, ის არის, რომ საკუთარი, მამა-პაპის დროინდელი, დღესდღეობით თითქმის სრულად განადგურებული დარგების აღორძინების სანაცვლოდ, საქართველოში... სირაქლემებისა და ნიანგების მოშენებას, ზეთისხილისა და ბანანების პლანტაციების გაშენებას გვთავაზობენ?!

ნეტავი იმას, ვინც სუფრასთან ჯერ ბანანის ღვინით დაილოცება, მერე სირაქლემას საცივს გენური ინჟინერიით გამოყვანილი სიმინდის ღომთან ერთად მიირთმევს, ბოლოს კი შიშხინა მწვადს დააყოლებს მასპინძლის შეთავაზებით — მიირთვით, ბატონო, ჩვენებური ნიანგისაა!

**ოთარ ტურაბელიძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დარჩა ერთადერთი გამოსავალი

# დადგა დრო!..

## მიმართვა ქართველ ხალხს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას!!!

ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ არსებობს და მოქმედებს 2005 წლის 16 მაისიდან. ამ დროიდან დაწყებული ჩვენ არაერთხელ ვამხილეთ სისხლის სამართლის დანაშაულში საქართველოს ხელისუფლება და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

ჩვენ მიერ წამოყენებული ყოველი ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულება ეყრდნობა უდავო დოკუმენტური ხასიათის ფაქტებს.

საერთაშორისო სამართლის, და არა ჩვენი ქვეყნის მოქმედი სსკ-ს მიხედვით, ზემოთ ხსენებული ჩადენილ დანაშაულებრივ მოქმედებებს უნდა მიეცეს სამშობლოს ღალატის კვალიფიკაცია.

აღნიშნული დროიდან დღემდე ყოველი ჩვენ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების მასალები იბეჭდებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. ამას გარდა ჩვენი სააგენტოს მასალები ხელმისაწვდომია ინტერნეტში საიტზე – გუგლ ჯი, „თენგიზ ჩხიკვაძე“ და „ობიექტივი. ნეტ“ – „თენგიზ ჩხიკვაძე“.

2011 წლის 26 მაისს მ.სააკაშვილის სახელისუფლებო გუნდის მიერ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული არა მარტო მორიგი ძალადობა, არამედ უკიდურესი ფორმით გამოხატული ვანდალიზმი ნუთუ საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მოხდეს საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაცია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნიშნით, ერთი და იმავე ამოცანის შესასრულებლად, საქართველოს და ქართველობის გადასარჩენად!

საქართველოს უახლესი ისტორიის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, როგორც ჩანს, რაიმე სახის მოლაპარაკებას ნებისმიერ პოლიტიკურ საკითხზე და, კერძოდ, არჩევნებთან დაკავშირებით მ.სააკაშვილთან და მის სახელისუფლებო გუნდის წევრებთან აზრი არა აქვს.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ დარჩა ერთ-ერთი გამოსავალი:

საქართველოს მოსახლეობის, არასამთავრობო და პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანება ჩვენი ერის, ქვეყნის, სარწმუნოებისა და რწმენის ერთადერთ სწორ და მართალ ძალასთან – ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

დადგა დრო, როცა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, მისმა სინოდმა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უნდა გადადგან აუცილებელი ნაბიჯი ერის გაერთიანებისკენ და შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსვლისკენ. ამისთვის საჭიროა, რომ დედაეკლესიამ მრევლზე დაყრდნობით, ჭეშმარიტი სიტყვა იქადაგოს, რათა დაიცვას თავისი მრევლი და სრულიად საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის ამჟამინდელი ულირსი და დამღუპველი ხელისუფლებისგან.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

## კონკურენცია ქართულად

# „ვისოლმა“ დიდ ფულთან მრთად „დიდი გამარჯვებაც“ მოიპოვა!

**აბა როგორ, საქართველოში, ისე როგორც არსად, „დიდი ფული“ და „დიდი გამარჯვება“, სარწმუნო წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით, გადაბმული ძმაკაცები არიან. თუმცა ამას წყაროების მოძიება და რაიმე განსაკუთრებული ნივთმტკიცება არა მგონია სჭირდებოდეს, რამეთუ თავად ხელისუფლება ხსენებული ძმაკაცობის ნაყოფს ქვეყანაში დამკვიდრებული თვალწარმტაცი კონკურენტული გარემოს მონაპოვრად აღიქვამს და დროდადრო შეჯიბრებაში გამარჯვებულებს ოფიციალური ჯილდოებითაც ახალისებს.**

ამით სულაც არ მინდა ეჭვი შევიტანო კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ხალისიანობაში და ვამტკიცო, რომ დღემდე ის საწვავზე ფასებს პერმანენტულად უხალისოდ ზრდიდა, მაგრამ ამასწინანდელმა დაჯილდოებამ რომ მის ბიზნესინტერესებს კიდევ უფრო მეტი გაქანება მისცა, არც ამის უარყოფა შეიძლება. ამის დასტურია თავად „ვისოლ ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სოსო ფხაკაძის განცხადება, რომელიც მან საპატიო ჯილდოს მიღებისას გაახმაურა. „ჯილდო, რომელიც დღეს მოგვანიჭა ჩვენმა მომხმარებელმა და ზოგადად ქართულმა საზოგადოებამ, თქვა მან, მრავალჯერ აღემატება ყველა იმ ჯილდოსა და პრიზს, რომელიც „ვისოლს“ მიღებული აქვს თავისი კორპორაციული ისტორიის მანძილზე. ჩვენ ბიზნესს ვაკეთებთ საქართველოში, ვემსახურებით ადგილობრივ მომხმარებელს და ბუნებრივია ამ კონკურსზე ჩვენი საქმიანობის ასეთი სახით აღიარება არის ჩვენთვის შეუდარებელი და უაღრესად დიდი სიხარულის მომგვრელი ფაქტი“.

კერძოდ, რა ჯილდოზეა ლაპარაკი, რომელმაც „ვისოლის“ თავკაცი ასერიგად აღაფრთოვანა? როგორც ქართულ პრესაში დაიწერა, ეს გახლავთ პირველი ეროვნული ბიზნესდაჯილდოება, რომლის ორგანიზატორმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ეს ცერემონია საკმაოდ პომპეზურ ვითარებაში გამართა. აქ ყველაფერი მოეწყო მაღალი გემოვნებით, ლონისძიებას არ აკლდა არც დახვეწილი ჯაზმუსიკა და არც ეროვნული და ევროპული ეგზოტიკური კერძები. რაც მთავარია, „ვისოლმა“ დაიმსახურა პრეზიდენტ სააკაშვილის შექება, რომელმაც თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა კომპანიის ნაყოფიერ საქმიანობას ხალხის დასაქმების ხაზით. ამიტომაც „მერკური 2011“-ის სამი ძირითადი ნომინაციიდან ორი ერგო „ვისოლს“. ხალხის არჩევანით, წლის მეწარმე „ვისოლის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძე გახდა, თავად „ვისოლი“ კი წლის საუკეთესო დამსაქმებლად დასახელდა.

დააკვირდით რა გამოიკვეთა? „ვისოლის დაჯილდოების ავტორია არა ხელისუფლება (ამ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო!ძ, არამედ ხალხი, საზოგადოება, რომელმაც არჩევანი ქვეყნის საუკეთესო ბრენდ „ვისოლზე“ და მის თავკაცზე გააკეთა. **და რატომ, არ იკითხავთ? თურმე იმიტომ, რომ „ვისოლი“ ერთ-ერთი უდიდესი ბიზნესჯგუფია საქართველოში, რომელმაც არა მხოლოდ ნავთობბიზნესის, არამედ ბიზნესის თითქმის ყველა სფერო მოიცვა (სამშენებლო, სარეკლამო, სუპერმარკეტების ქსელი) და 3000-მდე ადამიანი დაასაქმა.** პროგნოზი საიმედო და სასიამოვნოა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვისოლი“ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ ადამიანს გადაუჭრის დასაქმების პრობლემას და საგაისოდ ბიზნესდაჯილდოების ცერემონიალზე კიდევ არაერთ ჯილდოს დაისაკუთრებს.

ღმერთმა ხელი მოუმართოსო, თუკი ხალხს დაასაქმებს, ამაზე უკეთესს რას გააკეთებსო, იტყვის მკითხველი და მართალიც იქნება, მაგრამ **იმავე მკითხველს, ალბათ, გაუჩნდება ეჭვი, რანაირად შეიძლება იყოს მომხმარებლის რჩეული „ვისოლი“, რომელიც მას ყოველდღიურად თუ არა, კვირაში რამდენჯერმე მაინც უმოწყალოდ ატყავებს? ან რომელ კონკურსში შეიძლება გაემარჯვებინა „ვისოლს“, როცა ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემო საერთოდ არ არსებობს?**

საქართველოში რომ ფასები არასაბაზრო წესით დგინდება, ეს დიდი ხანია ცნობილია. ქვეყანაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი და რენტაბელური დარგი მონოპოლიზებულია და ფასები როგორც პროდუქტზე, ისე მომსახურებაზე შეთანხმებულად დგინდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ხილულია ნავთობპროდუქტების ბაზარზე, რომლის თაობაზე, დარგში არსებულ კარტერულ გარიგებასა თუ სხვა დარღვევებზე ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში თვით პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმაც კი ხელისუფლების მიერ დადგენილ ზღვარს გადააბიჯა და ღიად ილაპარაკა.

**არადა როგორი მძიმე ქათმის სიბრმავეც უნდა გჭირდეს, სახელისუფლებო ჩინოვნიკი ხარ თუ რიგითი მოქალაქე, როგორ გინდა ხელი დააფარო ნავთობიმპორტიორთა, მათ შორის „ვისოლ ჯგუფის“ წარმომადგენელთა გაუმაძღრობას, რომლებიც ექსპერტთა გათვლებით, თითოეული ლიტრი საწვავიდან მომხმარებელს 40-50 თეთრით ზედმეტს სძალავენ და საკუთარ ჯიბეს ზემოგებით ივსებენ. ან რა კონკრენციაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა იტალიიდან და აზერბაიჯანიდან შემოტანილი საწვავი თითქმის ერთი და იგივე ფასში იყიდება?**

პარადოქსია, მაგრამ საქართველოში რატომღაც ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, როცა დიზელის საწვავი მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში ბენზინზე იაფია, ჩვენთან კი ის სხვა ნავთობპროდუქტებთან შედარებით ყველაზე ძვირად იყიდება. ამის მაგალითად გამოდგება, კერძოდ „სოკარის“ ბენზინგასამართი სადგურები, სადაც მაღალი ხარისხის ბენზინის – სუპერის ფასი 2.30 ლარია (აპრილის მონაცემებით!ძ, ევროდიზელი კი 2.35 ლარად იყიდება(!?ძ. სურათი იდენტურია ყველა ბენზინგასამართ სადგურზე და ფასები ყველგან ანალოგიურია. ეს მაშინ, როცა მეზობელ აზერბაიჯანში, მაგალითად, დიზელი 0,74 ლარი ღირს, ბენზინის ფასი კი 0.98 ლარია. ბელორუსიაში, შესაბამისად, დიზელი 1.48 ლარი და ბენზინი 1.70 ლარი ღირს, ფინეთში – დიზელი 2.85 ლარი, ბენზინი 3.55 ლარი, იტალიაში – დიზელი 3.26 ლარი, ბენზინი 3.64 ლარი. იაპონიაში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ზესახელმწიფოა, საქართველოსთან შედარებით, დიზელი დაახლოებით 70 თეთრით იაფია ბენზინთან შედარებით. მსგავსი ფაქტების მოყვანა უამრავისა შეიძლება.

და მაინც იმ პრობლემათა შორის, რომლებიც ნავთობპროდუქტების ბაზარს მოსძალებია, ყველაზე შემაშფოთებელია საწვავის ფასების კატასტროფული ზრდა, რაც ლეიბორისტ **გიორგი გუგავას აზრით, „გამოწვეულია ალიევ-სააკაშვილის საოჯახო ბიზნეს-ინტერესებით, რომლებიც არიან ქვეყანაში საწვავის მთავარი მონოპოლისტი კომპანია „სოკარის“ მეპატრონეები და ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობის ხარჯზე ყოველდღიურად მრავალი მილიონით ავსებენ პირად ანგარიშებს“. გუგავას თქმით, კომპანია „სოკარ ჯორჯიას“ 51 პროცენტს ფლობს აზერბაიჯანული მხარე, ხოლო 49 პროცენტს – სააკაშვილის ოჯახი. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ „ვისოლი“ ფაქტობრივად არის მიხეილ სააკაშვილის ძმის კომპანია, აშკარაა, ეს კომპანიები საქართველოში მთლიანად განსაზღვრავენ საწვავის ბაზრის კონიუნქტურას. არადა სწორედ საწვავზე ფასების ზრდა ანგრევს სოფლის მეურნეობას, მცირე და საშუალო ბიზნესს, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას, რომელსაც ხელისუფლება ბოლო პერიოდში ასე „მდგრადად“ ანვითარებს.**




ნიშანდობლივია, რომ მარტო წლეულს საწვავი საქართველოში 4-ჯერ გაძვირდა, რის მიზეზადაც ნავთობიმპორტიორები საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის გაძვირების მზარდ ტენდენციას ასახელებენ. მართალია ბოლო პერიოდში ნავთობკომპანიებმა საწვავი 5 თეთრით გააიაფეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მათ მიერ ქვეყანაში დამკვიდრებულ ტრადიციას (ჯერ 5 თეთრით გააიაფებენ და შემდეგ 15 თეთრით გააძვირებენ!ძ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათთვის სარფიან პრაქტიკას არც ამჯერად უღალატებენ. მით უფრო, რომ ნავთობკომპანიები მთვარობის დიდი თანადგომითა და კარტერული გარიგებით სარგებლობენ.

ყოფილა ამის თაობაზე საუბარი, როცა „ხალხის რჩეულ“ „ვისოლს“ მიღწეული „დიდი წარმატებისთვის“ აჯილდოებდნენ? არა, რა თქმა უნდა. ჩვენი მთავრობა, როგორც წესი, ტრაბახსა და ბაქიბუქს ყოველთვის თავმდაბლობას ამჯობინებს და თავის ნაკეთებ საქმეებსაც ხალხისეულად ასაღებს. ერთადერთი რაც პრეზიდენტს წამოსცდა, ამის თქმა იყო: „ჩვენ შევძელით, ქვეყანა გაგვეთავისუფლებინა კორუფციისგან და ახლა ვცდილობთ, ეკოლოგიურად სუფთა ქვეყანაც ავაშენოთო“. კორუფციისგან გათავისუფლებაში რა მოგახსენოთ (რაღა დროს კორუფციაა!ძ, მაგრამ აი ეკოლოგიურად სუფთა ქვეყნის აშენებაში კი ნავთობკომპანიები, უტყუარად ვიცი, ხელისუფლებას ნამდვილად გაუწევენ საიმედო პარტნიორობას.

**ოთარ ხუციშვილი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში აჯანყების მცდელობა, როგორც ჩანს, სააკაშვილს მხოლოდ დაეხმარება

**თბილისიდან მოდის დაუდასტურებელი ცნობები დემონსტრანტებთან პოლიციის შეტაკების ახალ მსხვერპლთა შესახებ, ექსპერტები და მოვლენების უშუალო მონაწილეები კვლავ აძლევენ კომენტარებს უცხოეთის პრესას. ეს იყო ბურჯანაძის ავანტიურა, სააკაშვილის რეალური ალტერნატივა კი ჯერჯერობით არ არსებობს, მიაჩნიათ ანალიტიკოსებს.**

ადრე იტყობინებოდნენ, რომ უწესრიგობანი არ დასრულებულა ადამიანის მსხვერპლის გარეშე: დაიღუპა ერთი დემონსტრანტი და ერთი პოლიციელი. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე მითითებით, შენობის სახურავზე იმ ადგილის მახლობლად, სადაც გასულ კვირას მიმდინარეობდა დემონსტრაციები, აღმოაჩინეს კიდევ ორი ცხედარი. წინასწარი მონაცემებით, ისინი ელექტროდენის დარტყმით დაიღუპნენ. სპეციალისტები ამოწმებენ ვერსიას იმის შესახებ, რომ ადამიანთა ახალი მსხვერპლი როგორღაც დაკავშირებულია საპროტესტო აქციებთან. ასევე გამოქვეყნდა ვიდეოჩანაწერები, რომლებზეც ოპოზიციონერები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიით, განიხილავენ პოლიციასთან შეჯახების პროვოცირების ტაქტიკას.

დიდმა ბრიტანეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას გამოიკვლიოს ძალადობის გამოყენების შემთხვევები. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის საქართველოში ჯონ ბასი, როგორც ჩანს, ნაწილობრივ მხარს უჭერს სააკაშვილის განცხადებას მიტინგებთან დაკავშირებით რუსეთის მონაწილეობის შესახებ. „საპროტესტო აქციებში აშკარად მონაწილეობდა ადამიანების გარკვეული რაოდენობა, რომელსაც არ აინტერესებდა პროტესტის მშვიდობიანი გამოხატულება და რომელიც ცდილობდა მოეწყო შეტაკების პროვოცირება ძალადობის გამოყენებით“, – განაცხადა მან.




ხუთშაბათს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა აუდიოჩანაწერი, რომელმაც სავარაუდოდ დააფიქსირა ოპოზიციური ლიდერის ნინო ბურჯანაძის სატელეფონო საუბარი თავის ვაჟიშვილთან, სადაც ისინი განიხილავენ სახელმწიფო გადატრიალების გეგმას. ამ ჩანაწერის გამოქვეყნებიდან მალე „ტაიმის“ კორესპონდენტი საიმონ შუსტერი დაუკავშირდა ბურჯანაძეს. იგი ლაპარაკობდა „ღონემიხდილი ჩურჩულით“, და ეს ხმა სულ არ ჰგავდა მის ჩვეულებრივ ხმას, თითქოს იგი გაძლიერებული იყო „ყელში ჩარჩენილი მეგაფონით“, – აღნიშნავს ჟურნალისტი. „აქ პრაქტიკულად არავინაა. ყველა უკვე დაპატიმრებულია, – თქვა პოლიტიკოსმა. – მე თქვენ პირდაპირ გეტყვით: მე რომ მართლაც მეთანამშრომლა რუსებთან, სააკაშვილი უკვე აღარ იქნებოდა ხელისუფლების სათავეში“.

„ტრანსპერენს ინტერნეიშენელის“ თბილისის ბიუროს ანალიტიკოსმა მატიას ხუტერმა, რომელიც თბილისში მუშაობს 2009 წლიდან, ავსტრიის „დერსტანდარდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში წარმოგვიჩინა თავისი შეხედულება სიტუაციაზე საქართველოში. ექსპერტის სიტყვებით, თავიდანვე გასაგები იყო, რომ სამართალდაცვის ორგანოები გაათავისუფლებენ პარლამენტის წინ მდებარე მოედანს ღამით სამხედრო აღლუმის გამართვის წინ.

მიუხედავად ქვეყანაში ოპოზიციური პარტიების კონსტრუქციულობისა, ისინი სუსტად ორგანიზებული არიან და არ გააჩნიათ ერთიანი რეალისტური შეხედულება და იდეოლოგიური ბაზა, ბევრი მათგანი ემყარება მხოლოდ თავისი ლიდერების პიროვნებებს და მათთან დაახლოებულ პირებს. „სააკაშვილის რეალური ალტერნატივა დღეს არ არსებობს“, – მიაჩნია ექსპერტს.

მთავარ პრობლემად ქვეყანაში მატიას ხუტერს მიაჩნია უმუშევრობის მაღალი დონე (30 პროცენტიძ და ხელფასის დაბალი დონე. აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სიტუაციის კომენტარების დროს ანალიტიკოსმა განაცხადა: „რუსეთის მიერ ოკუპირებული ამ ორი ტერიტორიის მომავალს უკვე არ განსაზღვრავს შინაპოლიტიკური დისკურსი საქართველოში. მაგრამ არც ხელისუფლება, არც თავად ქართველები არ არიან მზად შეურიგდნენ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საბოლოო დამოუკიდებლობას“. ბევრი ქართველის აზრით, რუსეთის სამხედროების ყოფნის ზრდა ამ ტერიტორიებზე, საფრთხეს წარმოადგენს.

**პრესის მიმოხილვა.**

# ბაღაფშის სიკვდილის შემდეგ საით წავა აფხაზეთი?

**ბრძოლისთვის აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტზე, რომელიც ვაკანტური გახდა სერგეი ბაღაფშის გარდაცვალების შემდეგ, ფავორიტებად ითვლებიან ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი და პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ პრეტენდენტების სიაში შეიძლება გამოჩნდნენ სხვა გავლენიანი ფიგურებიც.**

რუსეთისთვის, რომელმაც საქართველოსგან გამოყოფილი რესპუბლიკის ეკონომიკაში დააბანდა უამრავი სახსრები, სულ ერთი როდია, ვინ ჩაუდგება აფხაზეთს სათავეში და როგორი გზით წავა იგი ამიერიდან.

იმ დროს, როდესაც ქართველი პოლიტოლოგები ფრთხილად გამოთქვამენ იმედს თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესების შესახებ, მოსკოვში კვლავ მიაჩნიათ, რომ აფხაზეთი შედის რუსეთის გავლენის სფეროში.

ამ დროს, რუსი ექსპერტების აზრით, გარედან ნებისმიერი მცდელობა – მოახდინონ ზეგავლენა აფხაზეთის ახალი ლიდერის არჩევნებზე, ვისგანაც უნდა მოდიოდეს იგი – უფრო მეტად მიგვიყვანს საპირისპირო შედეგამდე. ამჟამად რესპუბლიკას პრაქტიკულად არ გააჩნია არანაირი შანსი ფართო საერთაშორისო აღიარებაზე და იგი პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც რუსეთზეა დამოკიდებული.

მაგრამ აფხაზეთის ლიდერის შეცვლით ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.

მიუხედავად იმისა, რომ სერგეი ბაღაფში და კრემლის ხელმძღვანელები განუხრელად არწმუნებდნენ ერთმანეთს მარადიულ მეგობრობაში, ურთიერთობა მოსკოვსა და სოხუმს შორის აფხაზეთის გარდაცვლილი ლიდერის დროს ყოველთვის უღრუბლო როდი ყოფილა.

ყველაფერი დაიწყო ჯერ კიდევ 2004 წელს აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნების დროს, როდესაც მოსკოვი მხარს უჭერდა არა სერგეი ბაღაფშს, არამედ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილ თანამშრომელს რაულ ხაჯიმბას, რომელიც მიაჩნდა უფრო ლოიალურ და ადვილად სამართავ ლიდერად. თანაც შესაბამისი მისიით მაშინ სოხუმში გაგზავნეს არა ვინმე დიპლომატი ან პოლიტიკოსი, არამედ გენერალური პროკურორის მოადგილე ვლადიმირ კოლესნიკოვი.

თბილისში კი თავდაპირველად ვერ ფარავდნენ, რომ ბაღაფშის ფიგურა აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტზე, მათი თვალსაზრისით, გამოიყურება უფრო მომგებიანად.

როგორც აფხაზმა პოლიტოლოგმა ვახტანგ ჯანაშიამ ბაღაფშის გარდაცვალების დღეს შეგვახსენა, გარდაცვლილი ლიდერი დაქორწინებული იყო ქართველ ქალზე და, ექსპერტის სიტყვებით, „იყო ვნებათა განსაკუთრებული დაძაბვის პერიოდიც, როდესაც ამ ვითარებას შეიძლება გამოეწვია კარიერის კრახიც კი“.

„სააკაშვილმა თქვა: აი მოდის კაცი, რომელსაც შეუძლია მოაწესრიგოს სიტუაცია, რომელიც აღარ იქნება განწყობილი საქართველოს წინააღმდეგ, – იხსენებს ქართველი პოლიტიკური ექსპერტი რამაზ საყვარელიძე. – ასეთმა რეპლიკებმა ცუდი სამსახური გაუწიეს ბაღაფშს. მისდამი დამოკიდებულების შესახებ მეტყველებს ისიც, რომ მას ხმა მისცა გალში ქართულმა მოსახლეობამ“.

შედეგად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მოსკოვიც და თბილისიც. მოსკოვი – იმიტომ, რომ არჩევნებზე მაინც გაიმარჯვა ბაღაფშმა. ხაჯიმბასთან ყველა დაპირისპირება მან მოაწესრიგა, მიანიჭა მას ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილებანიც კი.

„შიში ბაღაფშის შესაძლო შემობრუნების შესახებ საქართველოსკენ, როგორც აღმოჩნდა, დიდად გადაჭარბებული იყო“, – განუცხადა ბი-ბი-სის რუსეთის სამსახურს მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერმა მუშაკმა ალექსანდრ კრილოვმა.

თუმცა, ამის შემდეგ ბაღაფშს კიდევ დიდხანს მოუწია დაერწმუნებინა კრემლი თავის ლოიალობაში, კრემლს კი, თავის მხრივ, დაემტკიცებინა ბაღაფშისთვის, რომ იგი ჩაწერეს პროქართულ პოლიტიკოსად წმინდა გაუგებრობის გამო.

თბილისი კი მეტად გაწბილდა და თანაც მალე ბაღაფშში, როდესაც მან დაიწყო დამოუკიდებლობის ხაზის მკაცრი გატარება.

სხვათა შორის, რამაზ საყვარელიძის სიტყვებით, ის ფაქტი, რომ 2008 წლის ომის დროს ბაღაფშმა ყველაფერი გააკეთა, რათა თავიდან აეცილებინა საქართველო-აფხაზეთის დაპირისპირება, თბილისში დღემდე ბაღაფშის დამსახურებად მიაჩნიათ. „მართალია, ბაღაფშმა დაიკავა კოდორის ხეობა, მაგრამ მან არჩია არ დაეღვრილიყო სისხლი“, – ამბობს ექსპერტი.

ზოგიერთ შემთხვევაში ბაღაფში ავლენდა დამოუკიდებლობას მოსკოვთან ურთიერთობაში, კერძოდ, რუსეთელების უფლებებთან დაკავშირებით შეეძინათ აფხაზეთში უძრავი ქონება.

### ვინ შეცვლის ბაღაფშს?

ეს საკითხი რუსეთისთვის განსაკუთრებით აქტუალურია: სკანდალი რუსეთის ფულის არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით რეგულარულად დგება დღის წესრიგში. ახლა ვინ აგებს პასუხს დაკარგულ მილიარდებზე, გაურკვეველია. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ნახევარი უბედურებაა.

ბაღაფშის წასვლით აფხაზეთის საზოგადოებაში ჩნდება გათიშულობის საფრთხე, მიაჩნია ალექსანდრ კრილოვს. „ეს იყო პოლიტიკოსი, რომელიც იძლეოდა ინტერესების ბალანსის გარანტიას, ის აღწევდა კომპრომისებს იქ, სადაც სხვებს ეს არ შეეძლოთ. ობიექტური სურათი ისეთია, რომ აფხაზეთის საზოგადოება 2004 წლის შემდეგ რჩება შინაგანად გათიშული, და ბაღაფშმაც ვერ შეძლო მიეღწია ყოფილი ეროვნული ერთიანობისთვის“.

ვიდრე რესპუბლიკაში გრძელდება გლოვა გარდაცვლილ პრეზიდენტთან დაკავშირებით, პოტენციური კანდიდატები ჯერჯერობით თავს იკავებენ მისი ადგილის პრეტენზიაზე, მაგრამ ცხადია, რომ მალე აფხაზეთს ელის აქტიური წინასაარჩევნო ბატალიები.

### ნებისმიერი კანდიდატი აძლევს ხელს მოსკოვს?

სერგეი ბაღაფში იყო აფხაზეთის დამოუკიდებლობის მტკიცე მომხრე. ის გამორიცხავდა როგორც რესპუბლიკის საქართველოს შემადგენლობაში შესვლას, ისე რუსეთის ფედერაციასთან მიერთებას ავტონომიის უფლებით.

თუმცა, ექსპერტების აზრით, მოსკოვი თავადაც არ არის დაინტერესებული მოვლენათა ისეთ განვითარებაში, რომელიც გამოიწვევდა ძალიან მკვეთრ ნეგატიურ რეაქციას მსოფლიოში.

გაზეთ „ჩეგენსკაია პრავდის“ რედაქტორი ინალ ხაშიგი მიიჩნევს, რომ ბაღაფში, როგორც პოლიტიკოსი, იყო მოქნილი. „ის წავიდა ისე, რომ არ დაუსახელებია თავისი მემკვიდრე, ალბათ, აი სწორედ ასეთი იყო მთლიანად ბაღაფში“.

მისი აზრით, აფხაზეთის ლიდერი ნებისმიერ სიტუაციაში არ დაასახელებდა თავისი მემკვიდრეს, ის ნებას მისცემდა ხალხს თავად გაეკეთებინა თავისი არჩევანი.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე




**ტელეჟურნალისტებმა გამოააშკარავეს დასავლეთი: გაეროს აკრძალვის მიუხედავად ლიბიაში მოქმედებს მისი სპეცნაზი**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, უკვე საკმაოდ კარგა ხანია, ევროპული სპეციალური რაზმები მოქმედებენ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, განსაზღვრავენ მიზნებს ნატოს ბომბების ჩამოსაყრელად და ასწავლიან შეიარაღებულ მეამბოხეებს. კოალიციის ქვეყნები მას ოფიციალურად უარყოფენ. ამავე დროს იტალია ტრაბახობს კიდეც თავისი დაზვერვის წარმატებით: კადაფს გაექცა 8 მისი მხედართმთავარი.

**ატლანტიკის ფსკერიდან შეძლეს „აირ ფრანსის“ თვითმფრინავის 127 მგზავრის ცხედრის ამოყვანა. თვითმფრინავი ჩამოვარდა 2009 წელს**



გამომძიებლებს უკვე აქვთ ყველა სათანადო ინფორმაცია იმისთვის, რათა დაადგინონ ავიაკატასტროფის მიზეზი. ოპერაციის მთავარი პრიორიტეტები დღეისათვის არის დაღუპულ მგზავრთა და ეკიპაჟის წევრთა ამოყვანა ზღვიდან. თვითმფრინავის ბორტზე 228 კაცი იმყოფებოდა.

**ინდოეთში ავტობუსი ხიდიდან მდინარეში გადავარდა: დაიღუპა 37 კაცი**



კიდევ 6 მგზავრმა მიიღო მძიმე ჭრილობა. ავტობუსი მიდიოდა ქორწილში და მასში იმყოფებოდა სასიძო თავისი ნათესავებით. სულ იქ იყო 43 კაცი. მათ ორი საათის შემდეგ უნდა მიეღოთ მონაწილეობა ქორწილის რიტუალებში.

**ინდოეთში ავტობუსი რუსეთელებით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მოხვდა: დაშავდა 35 კაცი, უმრავლესობა – ტურისტია**

დაიჭრა რუსეთის ფედერაციის სამი მოქალაქე. ტურისტული ავტობუსი შეეჯახა სატვირთო მანქანას ჩანდიგარხიდან 120 კილომეტრში. დაიჭრნენ აგრეთვე სტუმრები იტალიიდან, გერმანიიდან და ესპანეთიდან. სამი დაზარალებული ჰოსპიტალიზებულია, მათი ჭრილობები სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ ერთიანი საგანმანათლებლო ქსელი

# საქართველოს სკოლების ინტერნეტიზაცია განხორციელდა

## მაგთიკომმა XXI საუკუნის პროექტი 3 თვით ადრე დაასრულა

*2 წლის წინათ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული „ირმის ნახტომის" პროექტით სკოლების ინტერნეტიზაცია დაიწყო.*

*კომპანია „მაგთიკომი" იყო ის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელმაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის ყველა პირობა დააკმაყოფილა.*

*საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საატესტატო გამოცდების ჩატარებას წინ, საკმაოდ რთული მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა. საჭირო იყო სკოლების ერთიან მონაცემთა ბაზაში გაერთიანება, კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა.*

*ეს სიახლე განათლების სამინისტროს შესაძლებლობას აძლევდა ეწარმოებინა არა მხოლოდ გამოცდების მიმდინარეობის კონტროლი და მონიტორინგი, არამედ სკოლების ერთიან ინტერნეტქსელში გაერთიანების საშუალებას იძლეოდა.*

*ერთიანი ინტერნეტქსელი კი თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა ინოვაციებისა თუ პროექტების სწრაფი გაცნობისა და დანერგვის საშუალებას.*

*სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს განათლების სამინისტრომ, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გადაწყვიტა სკოლების უახლესი ტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვა.*

*აღნიშნული პროექტის განხორციელება სერიოზული გამოწვევა გახდა, რადგანაც სკოლების უმეტესობა რეგიონებშია თავმოყრილი და მათი დიდი ნაწილი რთულად მისასვლელ ადგილებში მდებარეობს.*

*ქსელის გამართვის რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ საქართველოს მთავრობამ პროექტის განსახორციელებლად კომპანია „მაგთიკომს" მიმართა.*

კომპანიას უკვე ჰქონდა მსგავსი ქსელის წარმატებულად შექმნის გამოცდილება „ერთიანი სამთავრობო ქსელის" პროექტის სახით, რომელშიც 700-ზე მეტი სამთავრობო ობიექტია ჩართული.

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, მაგთიკომში და განათლების სამინისტროში კარგად იაზრებდნენ, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა აღნიშნული პროექტის წარმატებით დასრულებას.

2009 წელს კომპანია მაგთიკომსა და საქართველოს მთავრობას შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მაგთიკომსა და „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" შორის გაფორმდა სამმხრივი ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა, საქართველოს საგანმანათლებლო ობიექტების „საქართველოს ერთიან სამთავრობო ქსელში" ჩართვასა და ინტერნეტით უზრუნველყოფას.

ამ მიზნის განსახორციელებლად, მთელი საქართველოს მასშტაბით საინფორმაციო ტექნოლოგიების სამასამდე სპეციალისტი შეირჩა, რომლებმაც 2220-ზე მეტ სკოლაში ლოკალური ქსელისა და საჭირო აპარატურის მონტაჟი განახორციელეს.

შეიქმნა მონაცემთა დამუშავების ცენტრი, რომელიც გამოთვლითი და დამხმარე აპარატურის (სერვერები, ქსელური აპარატურა, შემნახველი მოწყობილობები დ.ა.შ.ძ, შეუფერხებელ და უსაფრთხო ფუნქციონირებას, ასევე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნასა და მის ცენტრალიზებულ მართვას უზრუნველყოფს.

ერთიანი საგანმანათლებლო ქსელის შექმნით, საქართველომ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა განათლების სფეროს განვითარებისა და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების საქმეში.

ორწლიანი თავდაუზოგავი მუშაობის შემდეგ, „მაგთიკომმა" ვადაზე ადრე დაასრულა ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი და მასზე დაკისრებული ვალდებულებები პირნათლად შეასრულა.

საქართველოს ყველა სკოლა გაერთიანებულია ერთიან კომპიუტერულ ქსელში, რაც ახალგაზრდა თაობას უდიდეს შესაძლებლობებს უხსნის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში მცხოვრები მოსწავლეებისთვის, რადგანაც მათთვის ერთიანი საგანმანათლებლო ქსელი ინტერნეტთან ურთიერთობის ერთადერთი საშუალებაა.

ეს კი პირველ რიგში კომპანია „მაგთიკომის" დამსახურებაა. კომპანიის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგად გაკეთდა დიდი მამულიშვილური საქმე. ნამდვილად საამაყოა, რომ საქართველო ჩვენს რეგიონში პირველი ქვეყანაა, სადაც მსგავსი ქსელი წარმატებით მუშაობს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების დირექტორის ირაკლი თოდუას განცხადებით, რომ არა „მაგთიკომი", ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელება, ასეთ მოკლე დროში შეუძლებელი იქნებოდა.

30 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უახლესი სისტემებით აღჭურვილი სასერვერო ოთახი დაათვალიერა. ამ ოთახიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები მთელი საქართველოს მასშტაბით საატესტატო გამოცდების მიმდინარეობას ვიდეოგამოსახულების საშუალებით აკვირდებიან.

დასრულდა „საუკუნის პროექტად" წოდებული, საქართველოს სკოლების ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართვის პროცესი.

მაგთიკომმა ეს ნამდვილად აუცილებელი და ქართული საქმე გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე სამი თვით ადრე დაასრულა.

**გია გაბრიჭიძე**

◉ ინფორმაცია

## აღმოჩენილია კიდევ ერთი უძველესი ნაქალაქარი

**დედოფლისწყაროს რაიონში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, არქეოლოგებმა VII-VIII საუკუნეების ნაქალაქარი აღმოაჩინეს, რომელიც 12 ჰექტარზეა გაშლილი.**

**ზედაპირის დათვალიერებისას სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ ქალაქს თავის დროზე გარშემო დიდი გალავანი ერტყა, შიგნით კი საცხოვრებელ სახლებთან ერთად სამლოცველოც იყო. არქეოლოგებმა სწორედ სამლოცველოს ფრაგმენტები აღმოაჩინეს.**

**— მდინარე იორის მარცხენა სანაპიროზე, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან დაფიქსირდა ციხე-სიმაგრე, ასე ვთქვათ ნაქალაქარი. შემორჩენილია კოშკები, დანგრეული ეკლესია და როგორც სპეციალისტები ათარიღებენ აკრეფილი კერამიკის მიხედვით, ეს არის დაახლოებით VII-VIII საუკუნეების. მთელი ქალაქი დაახლოებით 12 ჰექტარზეა გადაჭიმული და ეს არის ძალიან დიდი დასახლება. ციხე-ქალაქი მთაზეა განლაგებული და როგორც კი გადაიხედავთ მთის იქით, უკვე აზერბაიჯანია, — განაცხადა არქეოლოგმა კოტე ფიცხელაურმა.**

**არქეოლოგიური გათხრები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან დაფინანსების არარსებობის გამო ამ დრომდე არ მიმდინარეობს. სპეციალისტების თქმით, არქეოლოგიური გათხრების შემთხვევაში, შესაძლებელია კიდევ სხვა მნიშვნელოვანი აღმოჩენებიც გაკეთდეს.**

## ფიროსმანის „დაჭრილი ჯარისკაცი" ეროვნულ საგანძურს დაუბრუნდა

**თბილისის პროკურატურის თანამშრომლებმა ნიკო ფიროსმანაშვილის „დაჭრილი ჯარისკაცი" უკანონო ბრუნვიდან ამოიღეს. ფიროსმანის ნახატთან ერთად სამართალდამცველებმა კიდევ 7 შედევრი დაუბრუნეს ეროვნულ გალერეას.**

**მუზეუმს გადაეცა ასევე რიჰარდ ზომერის „აღმოსავლური ბაზარი", ნიკოლა როლინის „ზღვის პეიზაჟი", ივან ფომინის „ქალის პორტრეტი ვეზუვის ფონზე", სერგეი ივანოვის „აღმოსავლური ბაზარი", ანტონიო დე კანალეს „ვენეცია. სან მარკოს მოედანი", ასევე ორი უცნობი ავტორის „პეიზაჟი ცხვრის ფარით" და „ანა" — „აღმოსავლური სოფელი". მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ფერწერული ნამუშევრები, რომელთაც ექსპერტთა ანალიზით, კულტურული ღირებულება გააჩნიათ, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად იქნა ამოღებული არალეგალური ბრუნვიდან.**

**90-იან წლებში კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაკარგვისა და განადგურების შემდეგ ბოლო წლებში ეროვნულ საგანძურს არაერთი შედევრი დაუბრუნდა. საქართველოს პროკურატურის ძალისხმევით, მარტო ბოლო 3 თვის განმავლობაში უკანონო გასხვისებასა და საქართველოდან გატანას გადაურჩა ნიკო ფიროსმანის 3 ნამუშევარი — „კრუხ-წიწილა", „დაჭრილი ჯარისკაცი", ასევე აბრაზე შესრულებული ნახატი „კახური ღვინო".**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა



◉ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# საოცრად შთამბეჭდავი პატივგება

**რა კარგია, რაოდენ საამაყოა, რომ ადამიანის მოღვაწეობის ამდენ დარგში, ამდენ სფეროში გვყავდნენ ქართველებს ბუმბერაზები! გიგანტური ფიგურა გახლდათ ეგნატე ფიფიაც — მედიკოს-მკვლევარი, ქირურგი, კლინიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.**

იმ გამორჩენილობის, გამორჩეულობის, წარჩინების ნიშნებში, რომელნიც ასე უხვად და დამსახურებულად ამკობდნენ ბატონი ეგნატეს პიროვნებას, შედიოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობაც; ბუნებრივია, რომ სწორედ ამ აკადემიამ გამართა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად, თავისი სახელოვანი წევრის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო შეკრება.

აკადემიის სხდომათა დარბაზში მოსულ პატივისმცემელთ დიდი დასტაქრის უკვდავი ხსოვნის საჩუქრად დახვდათ აკადემიისვე მიერ დასტამბული პროფესორ გურამ ტატიშვილის მომცრო წიგნი „ეგნატე ფიფია — დიდი ქართველი ქირურგი, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე"; ხოლო სავარძლებზე „საქართველოს რესპუბლიკის" 26 მაისის ნომერი ელოდათ, სადაც გამოქვეყნდა საიუბილეო წერილი „ის უკვდავია ხალხის ხსოვნაში"... იყო აკადემიის პრეზიდენტის შესავალი სიტყვა, დოკუმენტური ფილმი იუბილარზე, მოხსენება იმის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, გამოსვლები და მოგონებები; და დარბაზში გაცოცხლდა კი არა, ნაირ-ნაირი ფეროვნებით აელვარდა ბატონი ეგნატეს დაუვიწყარი სახე და სახელი...

ეს საოცრად შთამბეჭდავი შეკრება ემოციური და ამაღელვებელი მადლობის სიტყვით დაასრულა ისტორიკოსმა, პროფესორმა ნანა ხაზარაძემ, რომელსაც ეგნატე ფიფიას რძალი ერქვა, მაგრამ მამის ადრე დამკარგავს ბატონი ეგნატე ნამდვილ მშობლობას უწევდა, ისე როგორც ქალბატონი ნანა გულისხმიერ ქალიშვილად ევლინებოდა სახელგანსმენილ მამამთილს.

**თამაზ ებანოიძე**

◉ დღის ჭირ-ბოროტი

# ოთხზოლქვიანი მობოლება

**საზღვარგარეთელი ტელეჟურნალისტები განაგრძობენ საქართველოს პრეზიდენტისთვის გუნდრუკის კმევას და მორიგ ჯერზე ეს უკრაინელმა ევგენი კისელიოვმა გააკეთა, რომელმაც კოლეგებისაგან შემდგარ კომპანიასთან ერთად ტელეხიდი გაუდო ხიდების მოყვარულ ჩვენს ლიდერს, შეთავსებით, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკოსს (ამერიკელი მილიარდერის დონალდ ტრამპის კლასიფიკაციით)...**

ისე, დრონი მეფობენო და აკი უკრაინაც საზღვარგარეთი გახდა...

მოკლედ, უცხოელმა ჟენიამ ისე მარჯვედ უგორა წითელი კოჭი თავისი ავლაბრის სასახლის წინ ღამის პირველის ხუთწუთზე უდაცვოდ გამოსულ და ხალხთან შეხვედრას მონატრებულ მიხეილ-ბატონს, რომ აკი აუშალა კიდევაც კვეხნისა და დახეთქების სალერღელი, თითქოს ან ერთს იკლებდეს, ან მეორეს!

ჰოდა, სალერღელაშლილი პრეზიდენტის კვეხნა-დახეთქებისგან მე პირადად ოთხი ბოლქვით დავიბოლე მაისის 28 რიცხვში, დღის 12 საათზე, პირველი არხის ეკრანთან „მოამბის" მაცქერალმსმენელი.

მობოლება პირველი: არც ერთი ჩვენგანი (ხელისუფალთაგანიო!ძ არ არის მდიდარიო(?ძ; მობოლება მეორე: არ ცხოვრობს მდიდრულ სახლებშიო(??ძ; მობოლება მესამე: არ დასრიალებს ძვირფასი ავტომანქანითო(???ძ; მობოლება მეოთხე: არც ერთი ხელისუფლის ნათესავი ჩაბმული არ არის ბიზნესშიო(????ძ.

არც ერთ დანაკვეხნ-დანახეთქებს არ ვურთავ კომენტარს — დაე, ეს როლი მზარდი ოდენობის კითხვის ნიშნებმა შეასრულონ...

სამაგიეროდ ვიხსენებ ტელეკომპანია „კავკასიის" ეკრანზე მრავალგზის დატრიალებულ ტელესამხილს: მიხეილ სააკაშვილის ქონება შეადგენს ორნახევარ მილიარდ(!ძ დოლარს; იმისი ავლაბრის რეზიდენცია 800 მილიონი(!ძ დოლარი დაჯდა; პრეზიდენტის თვითმფრინავის ფასი 63 მილიონი(!ძ დოლარია; სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის N პროცენტი (N ზრდადი სიდიდეა! — **ბ. ბ.**ძ. როდემდე?..

ეტყობა, ამ ტელესამხილის თაობაზე არცარა სმენიათ უცხოელ ტელეჟურნალისტებს — ევგენი კისელიოვსა და კომპანიას; აქვე საკითხავად, ამ ტელეხიდ-ფარსში ფული ხომ არ აიღეს კორუფციის მძლეველი ქვეყნის მეთაურისგან?..

**ბერდია ბედოიძე**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## ჩოგბურთი

# ჩემპიონები გამოვლინდნენ



**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიისა და „სპორტი სიტის“ კორტებზე დამთავრდა 12, 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა საქართველოს პირველობა. ერთკვირიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:**

**12-წლიანები. გოგონები.** 1. ნინო მემიშიში, 2. ანა მუჯირი, 3. ანა შანიძე. **ბიჭები.** 1. ნიკოლოზ დავლიანიძე, 2. გიორგი ფშავლიშვილი, 3. ბასილი იაკობაშვილი.

**14-წლიანები. გოგონები.** 1. მარიამ ბოლქვაძე, 2. ანა ახალკაცი, 3. თამარ კუტუბიძე. **ვაჟები.** 1. გიორგი დათაშვილი, 2. გიორგი ბუზალაძე, 3. ირაკლი მეტრეველი.

**16-წლიანები. გოგონები.** 1. ბარბარე ერისთავი, 2. ანი გოგვაძე, 3. მარიამ გოგელაშვილი. **ვაჟები.** 1. გიორგი ჯავახიშვილი, 2. ალექსანდრე დავლიანიძე, 3. ლევან ფაშიაშვილი.

**გივი გაგუა**

## მძლეოსნობა

# ევროპის ჩემპიონატზე - სრული გუნდით

**ივნისის მეორე დეკადაში რეიკიავიკი (ისლანდია) მძლეოსანთა ევროპის მე-3 ლიგის გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაზე საქართველოს 30-კაციანი ნაკრები იასპარეზებს, რომლის ძირითადი ბირთვი, ფაქტობრივად, ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ გაირკვა.** ეს შეჯიბრება კი ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე გაიმართა. განსაკუთრებით სიმაღლეზე მხტომელმა ზურაბ გოგოჭურმა იყოჩაღა. იგი 210 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და უკონკურენციოდ დაიკავა პირველი ადგილი. შეჯიბრებაზე რამდენიმე სპორტსმენმა ორ-ორი ოქროს მედალი დაიმსახურა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: სალომე სირაძე (100 და 200 მ), გაიანე უსტიანი (800 და 1500 მ), გიული დეკანაძე (3 და 5 კმ), სალომე რიგიშვილი (ბირთვი და ბადრო), ბაჩანა ხორავა (100 და 200 მ), ანდრანიკ მატინიანი (800 და 1500 მ), ჯეირან ხოფერია (3000 და 3000 მ წინაღობებით). თითო ოქროს მედალი იკმარეს მაია გოგოლაძემ (100 მ თარჯებით), თეა ფაცურიამ (400 მ თარჯებით), სოფო ჩილინგარაშვილმა (400 მ), თინათინ პაპუაშვილმა (3000 მ წინაღობებით), თამარ გელეიშვილმა (სამხტომი), დავით ილარიანმა (110 მ თარჯებით), ენდრიკ ზილბერშტეინმა (400 მ), ბოლესლავ სხირტლაძემ (სიგრძეზე ხტომა), ბენიკ აბრამიანმა (ბირთვი), ვასილ ელანიძემ (შუბი) და გიორგი ბედოშვილმა (ბადრო). ქვეყნის ნაკრები საბოლოოდ მომავალ კვირას აზერბაიჯანის ღია პირველობის შემდეგ დაკომპლექტდება.


დავით ილარიანი


ზურაბ გოგოჭური


100 მეტრზე გოგონათა ფინალური გარბენი

**ლექსო ცინცაძე**
**ავტორის ფოტო.**

## ინტერნეტიდან

### ისევ და ისევ ფეტელი

**ძალზე რთული გამოდგა მისი მონაწილეებისთვის ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი „მონაკოს გრან-პრი“. კვირას მასობრივმა ავარიამ ბევრი პილოტი გამოთიშა გამარჯვებისთვის ბრძოლიდან. მათ შორის იყო „ლოტუს-რენოს“ რუსი პილოტი ვიტალი პეტროვი, რომელიც დამოუკიდებლად ვერ ამოვიდა დამსხვრეული ბოლიდიდან. ის მაშინვე საავადმყოფოსკენ გააქანეს. თუმცა იქიდან მალევე გამოუშვეს. როგორც თავად რუსი პილოტი აცხადებს, ავარიის დროს ის ფეხებს კარგად ველარ გრძნობდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ტრავმები სერიოზული არ გამოდგა და ის „კანადის გრან-პრის“ გათამაშებისას რბოლაში დაბრუნებას აპირებს.**

რბოლიდან „ფერარის“ პილოტი ფელიპ მასა და „უილიამსის“ მრბოლი პასტორ მალდონადო რბოლიდან გამოითიშნენ მათთან „მაკლარენას“ პილოტ ლიუსი ჰემიტონის შეჯახების შემდეგ. ამის გამო რბოლის სტიუარდებმა ჰემილტონი დასაჯეს, როგორც შეჯიბრებებში დამნაშავე. ჰემილტონმა თავი იმით იმართლა, რომ სტიუარდები მას სჯიან თითქოს იმიტომ, რომ ის შავკანიანია.




ფინიშთან პირველი მივიდა „რედ ბულის“ პილოტი სებასტიან ფეტელი. ეს ექვს ეტაპზე მისი მეხუთე გამარჯვებაა, რაც მისი გაჩემპიონების მშვენიერი გარანტიაა.

მეორე ადგილზეა ფერნანდო ალონსო „ფერარიდან“, პოდიუმის მესამე საფეხურზე კი „მაკლარენის“ მრბოლი ჯენსონ ბატონი ავიდა.

### ჯეკ უორნერი გააწბილეს

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეთიკის კომიტეტმა განიხილა ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის წინააღმდეგ აგორებული ბრალდებები კორუფციაში მისი მონაწილეობის შესახებ და გამოძიების შედეგად არც ერთი მათგანი არ დადასტურდა.** სამაგიეროდ, კომიტეტმა დროებით თანამდებობიდან გადააყენა ფიფას ვიცე-პრეზიდენტი ჯეკ უორნერი, რომელიც სათავეში ედგა ჩრდილო და



ცენტრალური ამერიკის, აგრეთვე კარიბის აუზის ქვეყნების ფეხბურთის კონფედერაციას, მას ბრალად წაუყენეს აზიის ფეხბურთის კონფედერაციის თავკაცთან, ყატარელ მოჰამედ ბინ ჰამამთან თანამშრომლობა კარიბის ფეხბურთის კავშირის ორი წევრისთვის ქრთამის შეთავაზებაში ფიფას პრეზიდენტის არჩევნებში (ის კი დღეს უნდა გაიმართოს) ბლატერის წინააღმდეგ ხმების მისაცემად. უორნერს აეკრძალა ფეხბურთთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბინ ჰამამმა მოასწრო კომიტეტის სხდომამდე ფიფას პრეზიდენტობაზე თავისი კანდიდატურის მოხსნა.

უორნერს მიაჩნია, რომ ეთიკის კომიტეტის წევრთა ასეთი გადაწყვეტილება იყო წინასწარ შეთითხნილი, რადგან კომიტეტის წევრები ბლატერის ხალხი იყოო.

მან ისიც თქვა, რომ არავითარი ფული არ დარიგებულა, რომ ბინ ჰამამმა გადაიხადა 260 ათასი დოლარი ავიაგადაფრენებისთვის, რაც ადეკვატური თანხააო.

### მოდელის პიარ-აქცია?

**სამხრეთკორეელი მოდელი შინ მინა ცნობილი გახდა სამხრეთ კორეასა და იაპონიაში 2002 წლის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. ქალიშვილი გახდა Miss Woriss Woris cip, თანაც უამრავი სარეკლამო კონტრაქტებიც მიიღო.**

ალბათ ძნელი სათქმელია, თუ სპორტისა და შოუბიზნესის ვარსკვლავებს რატომ არ უყვართ თავიანთი სასიყვარულო დროსტარების გადაღება და ინტერნეტში მოხვედრა: ასეთ სკანდალში „გაეხვია“ შინ მინაც. მისი საშინაო პორნოვიდეო მოხვდა მსოფლიო ქსელში და თაყვანისმცემელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. იქნებ ეს მოდელის პიარაქცია იყო, ასე მიმზიდველი რომ გახდა სპონსორებისთვის? ან იქნებ ქალიშვილს მოჰპარეს ჩანაწერი და ინტერნეტში განათავსეს. საერთოდ კი, რისთვის კეთდება ასეთი ჩანაწერი? ალბათ იმიტომ, თუ 2002 წლის შემდეგ არავის ახსოვდა შინ მინა, ახლა მაინც გაახსენდებათო.



## ფეხბურთი

# გორს „დილა“ გაუთენდა

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უმაღლესი ლიგის საპლეიოფო მატჩი გაიმართა. ერთმანეთს პირველი ლიგის მესამეადგილოსანი გორის „დილა“ და უმაღლესი ლიგის აუტსაიდერი „სამტრედია“ დაუპირისპირდნენ.**

პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. გოლის გატანის შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ხან მეკარეები იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე, ხან თავდამსხმელები ცოდავდნენ ბოლო მომენტში. და მაინც, ტაიმის მიწურულს ახალკაცის პასით დავით რაჟამაშვილმა გორელები დააწინაურა. შესვენების შემდეგ ისევ რაჟამაშვილმა გაიბრწყინა: 47-ე წუთზე ახალკაცთან გათამაშებული კომბინაციის მერე იგი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და სამტრედიელთა კარში მეორე ბურთი გაიტანა. საბოლოოდ „დილამ“ 2:0 გაიმარჯვა და მრავალწლიანი „შესვენების“ შემდეგ ისევ დაუბრუნდა ელიტას.

**ვაჟა ვლადიმერიძე**



## ჭადრაკი

# 14-წლიანები ფოთში ასპარეზობენ



**ზღვისპირა ქალაქ ფოთში გრძელდება 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის გოგო-ბიჭები მონაწილეობენ.**

ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მარიამ ჭოლაძე და ნოე თუთისანი მეწინავეობენ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ადა ქაქუთია, გიორგი სიბაშვილი და ნიკა ღვამბერია.

პირველობაზე 9 ტური გათამაშდება. გამარჯვებულები თანატოლთა შორის მსოფლიოს პირველობაზე გამოვლენ, მეორეადგილოსნები კი ევროპელ მოჭადრაკეებს გაეჯიბრებიან.

## კრივი

# ანკარაში - საალაფოდ

**წლეულს !6 ივნისიდან ანკარაში მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს.** ჩვენმა სპორტსმენებმა წლეულს 4 საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და სხვადასხვა სინჯის 11 მედალი მოიპოვეს, ხუთი ერთობლივი საწვრთნელი შეკრება გაიარეს ბულგარეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინასა და ყაზახეთში. ახლა კი ეროვნული ნაკრები რამაზ ფალიანის ხელმძღვანელობით კონტინენტის პირველობისთვის დუშეთში ემზადება. თურქეთში ჩვენი ქვეყნის ღირსებას ავთანდილ ჭუბაბრია (49 კგ), გიორგი კილანავა (52), ნიკოლოზ იზორია (56), კობა ფხაკაძე (60), ბაკურ გოგოჭური (64), იაგო კიზირია (81), ლევან გულედანი (91) და მიხეილ ბახტიძე (+91) დაიცავენ.



**ლაშა დიდია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ მოკლე რეცენზია

# წმინდანის სისხლზე წმინდა

**„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან!“ – დიდებული აფორიზმია; დიახ, ისე დიდმშვენიერია, მთელ ქვეყანას რუსთველისა ეგონა, მის ავტორად სხვა ვინმე ვერც კი წარმოედგინა. თვით ფრთხილი ილია ჭავჭავაძეც კი მოტყუვდა და სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ მისსავე მიერ ათიოდეჯერ მომარჯვებული ეგ საანდაზო თქმა „ვეფხისტყაოსანს“ ამკობდა. განაღა მარტო ილიას, მრავალ ინტელექტუალს მიაჩნდა, რომ ეს**




**ფრთიანი ფიგურა ჩვენი ეროვნული ეპოსიდან იყო ამორიდებული.**

ამ გაუგებრობას წერტილი დაუსვა ცნობილმა მეცნიერმა ბორის დარჩიამ. მან მისთვის დამახასიათებელი მუყაითობით ძირისძირობამდე შეისწავლა საკითხი და დამაჯერებლად დაასაბუთა: „განთქმული აფორიზმი... არ განეკუთვნება „ვეფხისტყაოსანს“ და მის ავტორს, მომდინარეობს შოთა რუსთველზე შექმნილი ერთ-ერთი ხალხური თქმულებიდან და ამდენად... ხალხურია“.

ამ დასკვნას წაიკითხავთ შესანიშნავად გაფორმებულ და კოხტად გამოცემულ წიგნში, რომელსაც ჰქვია „რუსთველოლოგიური გამოკვლევები“ (I, 20ძ.

მკვლევარმა მიაგნო ამ თქმულების ბოლო ვარიანტსაც (18ძ.

ასევე საბუთიანი და სანდოა სხვა გამოკვლევები, მათი უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელ წარმოდგენას იძლევა გაწეულ დიდ სამუშაოსა და ავტორის გმირულ შემართებაზე. ეს პრობლემებია: პოემის ტექსტის დადგენა და გაგება; ქრისტიანული თეოლოგიისადმი ავტორის მიმართება; ხელნაწერთა კლასიფიკაცია; სხვადასხვა სადავო საკითხის გარკვევა; თანამედროვე რუსთველოლოგიის შუქ-ჩრდილები.

აქ წარმოდგენილ ნარკვევთა უმრავლესობა ადრე სტატიებად ქვეყნდებოდა.

მკითხველს რომ უფრო მკაფიო შთაბეჭდილება შეექმნეს კრებულის შინაარსზე, ჩამოვთვლი გამოკვლევების სათაურებს: „ზმა“ სიტყვის მნიშვნელობისათვის; ფისტიკაური სტროფი; თანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა; მარგალიტის ერთი სიმბოლური მნიშვნელობა„ ნებასურვილისა და მისი შესრულების საკითხი; მზეხათუნისეული და ბებურიშვილისეული ხელნაწერები; მეცნიერები – დიდი ტუსაღები.

ამ ბოლოს მოძლიერდა ფსევდორუსთველოლოგიური ლიტერატურა. ცონცორიკა ავტორები ყველგან და ყველაფერში მილმაქვეყნიურს, ტრანსცენტდენტურსა დაეძებენ; როგორც მაგალი თოდუა მიუთითებს, ეს სენი, თურმე, საერთოდ შეიმჩნევა მთელ მსოფლიოში და ქართველი ფრენოლოგები ამ პროცესს, აბა, რად უნდა გამოჰკლებოდნენ?!

ამ მავნე ტენდენციის წინააღმდეგ არის მიმართული მეცნიერული საბუთიანობითა და ირონია-იუმორით გაჯერებული მასალები: „ოჰ, ეს სიმბოლო-ალეგორიები!“ „ოთარ ჩხეიძის „ღვინია გადაიჩეხას“ გაგრძელება“; „უვიცობა, პლაგიატობა და განუკითხაობა რუსთველოლოგიაში“; „მორიგი „რუსთველოლოგიური ხილვები“; „გამოგონილი რუსთველოლოგი“; „მეცნიერული“ ოინბაზობანი“ და მრავალი სხვა.

ყველაფერი ეს შესრულებულია საქმის უზომო სიყვარულით, ღრმა გულისტკივილით, მშვენიერი სტილით და აქ უნებლიეთ მაგონდება ოგარიოვის ნათქვამი: კალამი მაშინ წერს კარგი სტილით, როცა სამელნეში გულის სისხლის წვეთები ურევიაო, ხოლო მაჰმადის ნასიბრძნი კი გვამცნევს: ჭეშმარიტი მეცნიერის მელანი უფრო წმინდაა, ვიდრე წმინდანის სისხლიო.

ეს ნასიბრძნი დასტურ შეესატყვისება ამ ექვსასგვერდიან მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომლითაც ავტორმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა: მხურვალე გული ეროვნული კრიზისის, ეკონომიური შეჭირვების, ხმელი სიცივისა და წუნკალი მტრების შემოტევის ვითარებაშიც იძლევა ჭეშმარიტი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომების შექმნის შესაძლებლობას.

**მურმან თავდიშვილი,**
*რუსთველოლოგი.*

შალვა კვინტრაძის ხსოვნას

# დიდ სამეგობროს დააკლდა

**თბილისს გამოაკლდა უპოპულარესი, ყველასთვის საყვარელი და თვითონაც სიკეთისა და სიყვარულის გამცემი, უთვალავი მეგობრის პატრონი ნათელი პიროვნება, დიდი და მძიმე ბიოგრაფიის მქონე კაცი შალვა ნიკოლოზის-ძე კვინტრაძე.**



**დაიბადა ქ. თბილისში 1929 წელს. ომის დაწყებისთანავე მამა, ბატონი ნიკოლოზი, იმ დროისათვის ცნობილი ჟურნალისტი და გამომცემლობების პასუხისმგებელი მუშაკი მოხალისედ წავიდა ფრონტზე და აღარ დაბრუნებულა. დედამ უმამოდ გაზარდა შალვა და მისი და ცისანა.**

**შალვა კვინტრაძემ დაამთავრა თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, შემდეგ კი მუშაობდა სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებში. დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. შემდგომში სხვადასხვა საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციებში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება.**

**ახალგაზრდობისას ერთხანს მუშაობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად და თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივნად. პარტიულ სამუშაოზე ყოფნისას იყო თავმდაბალი, ყველას ხელის გამმართველი, დამხმარე, გაჭირვებულების მოამაგე, სიკეთის მთესველი, სიცოცხლის სტიმულის მიმცემი და იმედის ჩამნერგავი, რაც იმ პერიოდში დიდ იშვიათობას წარმოადგენდა და რისთვისაც ჩვენი ძვირფასი თემიკო ჩირგაძე ყოველ თავშეყრაზე აცხადებდა, რომ შალვა იყო საბჭოთა საქართველოს ისტორიაში პირველი დისიდენტი და კომუნიზმის მშენებლობის ძირის გამომთხრელი.**

**შემდგომ იგი მუშაობდა მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ორგტექნმშენის“ მმართველად. 5 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „საქაგრომშენის მშენებარე საწარმოების გაერთიანებულ დირექციას“.**

**მისი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, დამახასიათებელი და ტიპური ისტორია იყო 63 წლის ასაკში მოხალისედ წასვლა აფხაზეთის ომში – გაგრისა და განთიადის საბრძოლო ოპერაციებში. ჩვენი თაობიდან და სამეგობროდან ყველას მაგივრად იგი გაეჯიბრა ახალგაზრდებს. გული სიამაყით აგვევსო, რომ ჩვენ თაობაშიც ყოფილან ვაჟკაცები, რომელთაც ჭაბუკურად უძგერთ გული.**

**მას ჰქონდა მეგობრების შეძენისა და მეგობრობის გაწევის საოცარი ნიჭი და ჰყავდა ურიცხვი მეგობარი, რითაც იგი ყველასგან გამოირჩეოდა და რისთვისაც ერთ-ერთ წვეულებაზე აკადემიკოსმა სარგის ცაიშვილმა წამოაყენა წინადადება (რა თქმა უნდა, ხუმრობაგაშვებითძ, რათა შალვასთვის მიგვენიჭებია „საქართველოს დამსახურებული მეგობრის“ წოდება, რაც ერთხმად იქნა მოწონებული და შალვა გახდა პირველი და ერთადერთი პიროვნება, რომელიც ღირსეულად ატარებდა საზოგადოების მიერ მინიჭებულ ამ წოდებას.**

**მის ბინაში ერთი კედელი დაფარულია გარდაცვლილი მეგობრების სურათებით, რასაც „შალვას გალერეა“ ქვია. შედიხარ ოთახში და კედლიდან გიღიმიან: დევი სტურუა, ოთარ ჩერქეზია, თამაზ მელიავა, გურამ ასათიანი, თემიკო ჩირგაძე, რეზო თაბუკაშვილი, თამაზ ჩხენკელი, მიშა ქვლივიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ტიტო კალატოზიშვილი, გია ბადრიძე, ოთარ ლითანიშვილი, სარგის ცაიშვილი, რეზო თვარაძე... მარტო ამ წასული მეგობრების არასრული სიიდან ნათლად ჩანს შალვას ინტერესების, მისწრაფებებისა და სიყვარულის ვექტორების მრავალმხრივობა, ხოლო ვინც დარჩა დღევანდელ ბედკრულ საქართველოში მისი თაობის ნაღდი ქართველი, მათი სიხარული აცოცხლებდა, მათი ტკივილი ტკიოდა...**

**ჰქონდა საკმაოდ რთული და უმძიმესი პირადი ცხოვრება, რასაც სხვას არასდროს აგრძნობინებდა. მისი პირველი შვილი – 7 წლის ლანა ეზოში თამაშისას იქ მიმდინარე მშენებლობის დროს დენმა 27 მაისს იმსხვერპლა,. მეორე ვაჟი – 49 წლის ნიკუშა 2011 წლის ისევ 27 მაისს ტრაგიკულად დაიღუპა, რასაც ვეღარ გაუძლო ავადმყოფმა მამამ და 29 მაისს შალვაც შეუერთდა ზეციურ საქართველოს და თან წაიყოლა უთვალავი თბილისელის ცრემლი და სიყვარული.**

**ამ მშრალ, მოკლე ნეკროლოგში ვეცადეთ გამოგვეხატა გულის სითბო, რასაც შენი მეგობრები შენს მიმართ დავატარებდით, ჩვენო შალვა... შენი ხსოვნისა იყოს, ნათელი დაგადგეს!..**

**მეგობრები**



**ელვერ, თორნიკე, რობერტ და ელზა კუპატაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილის, წლების მანძილზე თსუ-ის დოცენტის, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის**

**კოტე ბორისის ძე**
**გიგაშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**რეკლამა** **გ. ახვლედიანის ქ.**
***„საქართველოს რესპუბლიკაში“***
**99-62-77;**
**899 32-85-76.**

◉ ინფორმაცია

# დელფინარიუმში – 12 ლარად

**ბათუმის დელფინარიუმი პირველ მნახველებს მიიღებს. თუმცა წარმოდგენები 12 ივნისიდან დაიწყება. წარმოდგენაში მონაწილეობას 7 დელფინი მიიღებს, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში იწვრთნებოდნენ და წარმოდგენების მოსაწყობად ემზადებოდნენ.**

**წარმოდგენის ღირებულება 12 ლარი იქნება და ბილეთების რეალიზაცია დღეიდან დაიწყება. 5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის კი შოუს ნახვა უფასო იქნება. დელფინარიუმში დელფინების შოუს ნახვა ერთდროულად 700 ადამიანს შეუძლია.**

**გარდა დელფინების შოუსა, სამომავლოდ დელფინარიუმი ახალ სერვისებსაც აამოქმედებს, როგორიცაა დელფინოთერაპია და ასევე „ერთი დღე მწვრთნელი“, რომლის ფარგლებშიც მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ დღე დელფინებთან გაატარონ. ხოლო რაც შეეხება დელფინოთერაპიას, რომლის ამოქმედებაც უახლოეს პერიოდშია დაგეგმილი, ნერვულ და სხვა მრავალ დაავადებებს შველის.**

**დელფინარიუმის მშენებლობის ინიციატივა ქალაქის მერიას ეკუთვნის, თუმცა თანხები ბიზნესმენებმა გაიღეს, რომელთა ვინაობა არ კონკრეტდება. პროექტის განხორციელება მთლიანობაში 10 მლნ. ლარი დაჯდა.**

ჯი-ეიჩ-ენი



**მეუღლე თამილა რობაქიძე, შვილები გივი, დავითი, და მანანა, ძმა დავითი, დისწულები მიხეილ, ანი, ნინო გოგიჩაიშვილები, ძმისწულები გიორგი, ვანო ყვარელაშვილები, სიმამრი ამირან რობაქიძე, სიდედრი აზა ჯანელიძე, ცოლისდა ქეთევან რობაქიძე, ცოლისძმები სოსო, ვასიკო რობაქიძეები, ბიძაშვილები მანონი, ნანა ყვარელაშვილები, დეიდაშვილები ლია, ნოდარ, ნუგზარ წერეთლები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოლიციის გენერალ-მაიორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი, ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მედლის მფლობელი, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, საერთაშორისო კლასის ოსტატი**

**გივი გიორგის ძე**
**ყვარელაშვილი**

**პანაშვიდი 31 V, 1 VI, 17 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას I კვარტალი, კორპუსი №8. გამოსვენება 2 VI, 15 სთ. ფერიცვალების ეკლესიიდან (ავლაბრის მოედანი, ფერიცვალების ქუჩაძ.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დაიჯესტი

### რუსეთულ-ამერიკული ზავი... ჰოლივუდურად



**რუსი პიანისტი ქალი ოქსანა გრიგორიევა, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე ჰოლივუდის ვარსკვლავის მელ გიბსონის მეგობარი იყო და შვილიც გაუჩინა, მას ოჯახურ ძალადობაში აღარ უჩივის. ქალიშვილის ლუსიაანას აღზრდის თაობაზე მოსალაპარაკებლად მათ ერთ წელზე მეტი დრო დასჭირდათ. საქმე ის არის, რომ 2010 წლის იანვარში გიბსონმა ოქსანა სასტიკად სცემა, რის შემდეგ ინტერნეტში აუდიოჩანაწერები მოხვდა, სადაც მსახიობი საყვარელს მოკვლით ემუქრება.**

„კერკეტ კაკალს“ ციხე ემუქრებოდა, მაგრამ წლეულს მარტში მან ოქსანას საჯაროდ ბოდიში მოუხადა, რის სანაცვლოდ ოქსანამ ბრალდება მოხსნა და შვილთან ურთიერთობის ნება დართო. ირწმუნებიან, რომ ამ ნაბიჯის გადადგმაზე ოქსანა ადვოკატებმა აიყოლიეს. თავად გიბსონი კი ოქსანასთვის დედობის უფლების ჩამორთმევას მოითხოვდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ქალიშვილს ორივე მშობელი ერთობლივად გაზრდის.

### რქებს ნუ მოუშვებთ, ბიჭებო!

**ქორწინების მოწმობების ბედნიერ მფლობელთა საყურადღებოდ! ბრიტანელმა მეცნიერებმა მეტად უსიამო ფუძემდებლური კანონზომიერება დაადგინეს: ქალები, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, ცოლქმრულ ღალატზე არიან დაპროგრამებულნი!**

ცოლიანი მამაკაცებისთვის ეს გულგასატეხი დასკვნა მკვლევარებმა 62 ქვეყანაში ჩატარებულ ანთროპოლოგიურ გამოკვლევათა საფუძველზე გამოიტანეს. მათი მტკიცებით, პირველი ფლირტი ქორწინებიდან ოთხი წლის შემდეგ უნდა ელოდოთ. ცნობილი მწერლის მაქს ფრიშის მტკიცებით „ბედნიერი ქალიც კი ფლირტისკენ მიილტვის“.



მკვლევარები იმასაც აცხადებენ, რომ ქალების ღალატი დნმ-ს დონეზეა დაპროგრამებული, თუმცა ბოლო დროს ამას სოციალური ვითარებაც — გაჭირვება, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, საზოგადოებრივ ფენებს შორის მზარდი უთანასწორობა, მისი კრიმინალიზაცია, პროსტიტუცია და ზნეობრივი დეგრადაცია უწყობს ხელს. ამასთან, იმასაც აღნიშნავენ, რომ ქორწინებისადმი პრაგმატული მიდგომა მისი სიმყარის კარგი გარანტიაა.

ისტორიული მონაცემები უტყუარია: პოლიგამიისკენ სწრაფვა ქალებში ჯერ კიდევ ისტორიამდელ ხანაშია ჩადებული — ქალთან ხროვის ყველა მამრი მიდიოდა. მოგვიანებით, კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე, მრავალ ერში „გულითადი სტუმართმოყვარეობის“ წესით მასპინძელს დაღლილი მგზავრისთვის ცოლი უნდა დაეთმო. ტროას ომის მიზეზი მშვენიერი ელენეს კეკლუცობა გახდა. ბოლო დროს კიდევ ერთი კანონზომიერება გაირკვა: განათლებული ქალები ქმრებს სხვებზე გაცილებით ხშირად ღალატობენ.



განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებული გამოკვლევებით გაირკვა, რომ ბავშვთა 11 პროცენტი თავისი „კანონიერი მამების“ შვილი არ არის! თურმე შემთხვევითი პარტნიორისგან ქალს მუცლის აყოლის უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე მუდმივისგან. ამასთან, ქალების ღალატის 50 პროცენტი ოვულაციისა და კრიტიკული დღეების შემდგომ პერიოდში მოდის, როცა მუცლის აყოლის საშიშროება არ არსებობს.

იუდეაში (ბევრ სხვა ქვეყანაშიც) მოღალატე ცოლებს ქვებით ქოლავდნენ. აზიის ზოგიერთ ქვეყანაში მათ დღესდღეობითაც სიკვდილით სჯიან, აფრიკის ზოგ ადგილას კი მათ „ქირურგიულ ოპერაციებს“... წინა დაცვეთას კონსერვის ქილის გადანაჭრით უკეთებენ!

ამიტომაც, ორგულო ცოლებო, აფრიკელ ქმრებს უფრთხილდით!

### გადამწიფებული „მარწყვების“ საუფლოს დასასრული



**ვოლგოგრადში საროსკიპო დაიხურა, სადაც კლიენტებს „ბალზაკის ასაკს“ კარგა ხნის გადაცილებული ქალები ემსახურებოდნენ.**

შარშან თებერვალში 45 წლის ვოლგოგრადელმა ქალბატონმა, ფსევდონიმი კარინა აირჩია და „მოზრდილთათვის“ „განსაკუთრებული“ სალონი დააფუძნა. საქმის ქალმა ფსონი ასაკოვან, გამოცდილ და ყველაფრის მცოდნე მეძავებზე გააკეთა. უნდა ითქვას, რომ კარინა არ შემცდარა: „მწიფე მარწყვის“ დაგემოვნების უამრავი მსურველი გამოჩნდა. კარინამ ქალაქგარეთ ბაზრობაზე ძველი ტრაილერი იქირავა, სადაც 45 წელს გადაცილებული შვიდი მეძავი დღედაღამ, შეუჩერებლად, შორი რეისების მძღოლებს, ახლომახლო კაფეების, ჯიხურების, საბურავების შემკეთებელი სახელოსნოების მუშაკებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს ემსახურებოდა. დაწესებულებას უამრავი მუშტარი ჰყავდა, რომლებსაც დაბალი ფასები — 500-დან 1000 რუბლამდე იზიდავდა. მაგრამ... თვენახევარში მილიციამ კარინას მუდამ ღია სახლი დაკეტა.

სასამართლომ კარინას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მიუხედავად იმისა, რომ „მამაშაც“ და მისი „ხელქვეითებიც“ თავის საქციელს სიდუხჭირით ხსნიდნენ, მაგრამ თემიდის მსახურებმა ბოზების არგუმენტები არაფრად ჩათვალეს.

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

- იმას, რასაც „ფრანგული კოცნა“ ჰქვია, ინგლისელები უწოდებენ ინგლისურ კოცნას საფრანგეთში.
- XX საუკუნის დასაწყისში მოსკოვში ტელეფონისტ ქალებს აკრძალული ჰქონდათ გათხოვება, რომ საქმისათვის გულისყური არ მოეკლოთ.
- ჰოლანდიასა და ინგლისში მოწევასთან საბრძოლველად სპეციალურად გამოუშვეს სიგარეტები სახელწოდებით — „სიკვდილი“. კოლოფზე გამოსახული იყო თავის ქალა გადაჯვარედინებული ძვლებით, მაგრამ აქციამ უკურეაქცია გამოიწვია — ახალგაზრდა მწეველთა რიცხვი გაიზარდა.
- XVI საუკუნის ცნობილ ოთხნაწილიან რუსულ ხატზე გამოსახულია ქრისტე და მთავარანგელოზი, რომლებიც სატანას ამარცხებენ. რა გასაკვირიც უნდა იყოს, ამ ხატზე ქრისტეს მახვილი უპყრია ხელთ.
- მარკების შეგროვების ჰობის 1841 წელს ლონდონის „თაიმსში“ გამოქვეყნებულმა განცხადებამ ჩაუყარა საფუძველი, რომლითაც ავტორი საძინებელი ოთახის კედელზე გასაკრავი მასალის შოვნაში მკითხველს დახმარებას სთხოვდა.
- სლავურ მითოლოგიაში კვირის დღეების დაყოფა ბედნიერ და უბედურ დღეებად ლინგვისტიკით ახსნეს და დაადგინეს, რომ ლუწ და კენტ დღეებს შეესაბამება, თუმცა ამ გაგებით ხალხური კვირის დღეები, რომლებიც ორშაბათიდან იწყება, არ ემთხვევა ეკლესიურს და ამ გაგებით დღე, ორივე კალენდარში რომ ემთხვევა ერთმანეთს, კვირაა, რომელიც ხალხურში პირველია, ეკლესიურში კი მე-7.
- ათენელები დღის გარკვეულ მონაკვეთს „სრული მოედნის პერიოდს“ უწოდებდნენ, — ეს იყო შუადღე, როცა მზე ზენიტშია და ყველაზე ნაკლები ჩრდილია.
- ავგიას თავლა, რომელსაც მამამ საჩუქრად ურიცხვი პირუტყვი აჩუქა, 30 წლის განმავლობაში დაგროვილი ნაკელისგან ჰერაკლემ გაასუფთავა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6840 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3930 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7390 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 – +24 |
| ქუთაისი. | +17 – +29 |
| ბათუმი. | +18 – +24 |
| ზუგდიდი. | +18 – +29 |
| თელავი. | +16 – +23 |

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## კადრი




## ანეკდოტები

— ალო, ეს ნდობის ტელეფონია?
— არა, ეს არის სექსი ტელეფონით, მაგრამ შენ შეგიძლია მენდო, პატარავ...

* * *

— ხიდი უნდა გაგიკეთო, ბიძია, და ასი ლარი დაგიჯდება, —ეუბნება სტომატოლოგი გურულს.
— ა, ძამა, შენ ორმოცდაათი ლარი და ბოგირი გამიკეთე...

* * *



— გესმის, რა კარგად გალობს შაშვი? — ეკითხება ტყეში მოსეირნე მარო მიხოს.
— იგალობებს რა, ცოლი მაგაი არ აწუხებს, უმუშევრობა და ვალები...

* * *

— ბიჭო, ჯერ ჩვენებური ქალი შაირთე, ხომ იცი, მუშაობა არ ეზარებათ, ოჯახს ზედ გადაჰყვებიან, მერე კი, როცა დაბერდება, გაუშვი და მეგრელი მოიყვანე! — ეუბნება კახელი შვილს.
— რადა მეგრელი?
— გემრიელი დატირება იციან...

* * *

— ცოლი სახლში პრეზიდენტივით უნდა იყოს!
— რატომ ვითომ, ყველაფერს რომ განაგებდეს?
— არა, კაცო, ყოველ ოთხ წელიწადში ახლის არჩევა რომ შეგეძლოს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24